


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, დღემდე ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჭაბუბით ბუბთის გაფანა ყულა უჯადისდბაჟ უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 17 აპრილი, 2015 წელი.

№69 (7714)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

როდემდე ვუყუროთ თავმოჭრილ ბავშვებს?



XXI საუკუნის შავ-აბასები

აუსილებლად გვი უნდა იყოს, ან სექტანტი, ხმა რომ ამოვიღოთ?

პანკისში ახალგაზრდების სირიაში გაყვანის ბრძანებას თარხან ბათირაშვილისგან იღებენ



ბორის აქუნინი: ჩემი ქვეყანა მტრის მიერაა ოკუპირებული



რუსეთის მთავარი პრობლემა ვლადიმირ პუტინი კი არ არის, მთავარი პრობლემა მოსახლეობის ტვინსა და გონებაშია. ეს მანამდე გაგრძელდება, სანამდე ადამიანები ვერ მიხვდებიან იმას, რომ მათ ატყუებენ.

ნარკოტიკული ნაღირობა: საქართველოს უარს უბნებინან ექსტრემიზმის ექსტრადისციაზე



იდეოლოგია და სიცარიელე

თუ ღირსეული ქვეყნის შექმნა და შენარჩუნება ჯერ კიდევ გვსურს, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ნამდვილი (და არა იმიტირებული) იდეოლოგია ქვეყნას მართლაც სჭირდება. სიტყვა „ნამდვილი“ ამ შემთხვევაში გულისხმობს არა იმპორტირებულ ღირებულებათა ჩვენს ნიადაგზე მექანიკურად გადმოტანას, არამედ შემოქმედებით შრომასა და ამ შრომის შედეგად ისეთი გააზრებული გეგმის შედგენას, რომელიც გამოადგება რომელიც ღაც მომავალ ხელისუფლებას.

ქვეყანა პოლიტიკოსები და მათი ბოროტი დამრიბებლები

რახან ქვეყანა გარედან (შორიდან) იმართება, სულაც არ არის საჭირო აქაურ ფსევდოხელისუფლებას ან ქვეყნის მოთხოვნებოდეს, ან ვაჟკაცობა. პირიქით, ეს თვისებები თუ არ ექნება, ის ურჩევნია იმ უცხოელ „მოყვარეს“, რადგან ქვეყანი და მამაცი კაცი გადამთიფლის დაკრულზე არ იცეკვებს და არც მისი თითის დაქნევაზე გადაუბრუნდება შიშით გული, როგორც ეს ჩვენს „რჩეულებს“ ემართებათ.



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტის ვიზიტი ლატვიაში



საბარტოშვილის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი რიგაში ლატვიელ კოლეგას შეხვდა. ანდრის ბერზინის დროებით რეზიდენტიაში გიორგი მარგველაშვილის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. სახელმწიფო მეთაურები ერთმანეთს ჯერ პირისპირ, ხოლო შემდეგ გაფართოებულ ფორმატში შეხვედნენ.

საუბრისას პრეზიდენტებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობა განიხილეს და ბიზნესურთიერთობის სამომავლო გაღრმავებაზე იმსჯელეს. შეხვედრის მთავარი თემა მისი და დეგემილი რიგის სამიტი იყო. განსაკუთრებული ყურადღება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების ეფექტიანი იმპლემენტაციის მნიშვნელობას დაეთმო.

გიორგი მარგველაშვილმა ლატვიელ კოლეგას საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და არაღიარების პოლიტიკის ურყევი მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებაც ისაუბრეს და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო განიხილეს.

ლატვიის პირველმა პირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ევროინტეგრაციას მხარს უჭერს.

„ნიშანდობლივია, რომ სწორედ ლატვია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც მოხდა საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება. იმედია მაქვს, საქართველო ღირსეულად წარსდგება რიგის სამიტიც. ლატვია მხარს უჭერს საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესს და ამ პროცესთან მიმართებაში ლატვიას დადებითი პოზიცია აქვს“, – განაცხადა ლატვიის პრეზიდენტი.

ანდრის ბერზინიმ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერაც დააფიქსირა, უშუალოდ ქართველ კოლეგასთან შეხვედრის საკითხზე კი განმარტა, რომ გიორგი მარგველაშვილთან აუდიენცია ქართულ-ლატვიური მჭიდრო ურთიერთობების დასტური და ნათელი მაგალითი იყო.

© SIC!

პანკისის ხეობა ისევ ყურადღების ცენტრშია. მიზეზი კი ის ახალგაზრდები გახდნენ, რომლებიც საომრად სირიაში მიდიან. პანკისის ხეობიდან სირიაში წასული სკოლის ორი მოსწავლე, რომელთაგან ერთი 16-ის, ხოლო მეორე 18 წლისაა, ამ დროისთვის „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ სანვრთელ ბაზაზე გადიან სწავლებას. ისინი ტელეფონით დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს და უთხრეს, რომ კარგად არიან, ჯერ ომი არ უნახავთ, რადგან შესაბამის სწავლებას გადიან.

პანკისიდან სირიაში გადასული მოსწავლეების ოჯახების ინფორმაციით, 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილმა და 18 წლის რამზან ბალაკაშვილმა საქართველოს ტერიტორია თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან დატოვეს.

როგორც მუსლიმ კუშტანაშვილის ბებია, შარიათ ნინოლაშვილმა გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა, მოზარდები თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე ტაქსით მივიდნენ.

„მუსლიმ 16 წლის არ არის და როგორ წაგიდოდა თავისით, ან როგორ გაატარეს არასრულწლოვანი ბავშვი აეროპორტში? აქედან ტაქსით გაუგზავნიან ორივე, ალბათ, აეროპორტში დახვდათ ვიღაც და იქიდან გააპარეს. მუსლიმის მამამ ის ტაქსითი მოიხადა და დაკითხა. როგორც მან თქვა, ბავშვები თბილისის აეროპორტთან მიიყვანა. „ისლამური სახელმწიფოს“ თემაზე საუბარი არასდროს ჰქონია. არ ვიცი როდის დაინყო ამაზე ფიქრი. ბოლო ორ კვირაში თუ მოხდა რამე... წასვლის შემდეგ მასწავლებლებმა გვითხრეს, ერთი-ორი კვირა სკოლას აცდენდაო“, – აღნიშნა შარიათ ნინოლაშვილმა.


უკვე ცნობილია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში საქართველოს მოქალაქეების გადინებას პანკისელი, რადიკალური ისლამის მიმდევრები უწყობენ ხელს, რაც რეგიონისთვის საფრთხის შემცველია. ახალგაზრდების მასივად გადინება გენოფონდს შეუქმნის საფრთხეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორი – რუსეთი მუდმივად აპელირებს იმაზე, რომ პანკისში ტერორისტებს ამზადებენ. რო-

გორც ექსპერტები ამბობენ, თუ ხელისუფლება არ იმოქმედებს, არა მარტო ხეობას, არამედ მთელი ქვეყნის უსაფრთხოებას შეექმნება პრობლემა. გარდა ამისა, ცნობილია, რომ პანკისში მოქმედებენ სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც ახალგაზრდების სირიაში გაყვანის ბრძანებას თარხან ბათირაშვილისგან იღებენ. როგორც პანკისის მკვიდრი ბექა უმარაშვილი ამბობს, პანკისის ხეობაში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ახალგაზრდებზე ხდება ფსიქოლოგიური ზეწოლა და მათზე რელიგიური გავლენის მოხდენის ბრძანებას სირიაში მებრძოლი პანკისის ხეობის მკვიდრი თარხან ბათირაშვილი გასცემს. მისივე თქმით, ამ ადამიანებისთვის დოკუმენტების მოსაწესრიგებლად თანხას ბათირაშვილი რიცხავს.

ქართულ სპეცსამსახურებს, რომლებიც ადგილზე მუშაობდნენ, ხელშეწყობა არ უგზავნიან მათგან ისე, როგორ საჭირო იყო.

„ქართული სპეცსამსახურებისთვის კარგად არის ცნობილი, თუ ვინ ახდენდა ადგილობრივი ახალგაზრდების „ვერბოვას“. სამუშაოების შედეგად პირდაპირ აღარ ხდება გადაბირება, ახლა მიდის ფარულად საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც ადგილად ჩასათრევია, რადგან სხვა მიმართულებით საკმაოდ სერიოზულად გვაქვს სამუშაოები ჩატარებული. ახლა აქცენტი მიდის უკვე ბავშვებზე, სკოლის მოსწავლეებზე. საქართველოდან გასული ადამიანების პროცენტული რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე პატარაა. ის პრობლემაა, რომელსაც სახელმწიფო ყურადღებას აქცევს და ყველაფერს აკეთებს ყველა რისკის შესამცირებლად“, – აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

„პანკისში ახალგაზრდების სირიაში გაყვანის ბრძანებას თარხან ბათირაშვილისგან იღებენ“



„ასევე არსებობს ინფორმაცია, რომ პანკისის ხეობაში ბათირაშვილს არა ერთი, არამედ რამდენიმე თანამოაზრე ჰყავს. ის არის ყურბან მეროვი, რომელიც ჯვაროსნული მებრძოლის კონტრაქტით საზოგადოებას. ეს ადამიანი ხელმძღვანელობს იმ ჯგუფს, რომელსაც საქართველოდან გააპარეს ახალგაზრდები“, – აცხადებს ბექა უმარაშვილი.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, მინიმუმამდე დაყვანილი ის რისკები, რის გამოც პანკისის ხეობიდან ადამიანები სირიაში საბრძოლველად მიდიან. სესიაშვილი ირწმუნება, რომ ასევე მინიმუმამდე დაყვანილი სირიაში წასული მებრძოლების რაოდენობაც. მისივე თქმით, ძალიან სერიოზულად მუშაობენ უშიშროების სამსახურები. სესიაშვილი ამბობს, რომ მთავარი პრობლემა არის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ პრობლემას ხედავდა, მაგრამ

რადგან ისლამური ხალიფატის სპეცსამსახურმა კავკასიის რეგიონზე სპეციალური ჯგუფი მიაშენა, რომელიც იდეოლოგიასა და ახალი მეომრების განვრცობაზე მუშაობს. მისივე თქმით, ისლამური ხალიფატის ჯგუფები შიდა და ქვემო ქართლში, აჭარაში, პანკისში და აფხაზეთშიც მოქმედებს.

მისივე თქმით, აფხაზეთში ისლამური ხალიფატის ემისრები და მათი დამკვეთი ჯგუფები ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში სირიელ ლტოლვილთა საფარვეტში მოქმედებენ. მისივე თქმით, ყველა ამ ჯგუფს ერთმანეთთან სერიოზული კოორდინაცია აქვთ, ერთიან იატაკქვეშა ქსელს ქმნიან და უშუალოდ ისლამური ხალიფატს ემორჩილებიან. მათი მოზალდების დონე უკვე საქართველოში და შესაძლოა, აქტიურ მოქმედებებზე გადავიდეს. მისია არ გამოირჩევა, რომ პანკისიდან სირიაში 2 ახალგაზრდის გამგზავრება სპეციალურად დაგეგმილი ყოფილიყო, რომელიც ისლამური ხალიფატის სპეცსამსახურმა მუხაბარატმა შეასრულა, რომელმაც კავკასიაზე სერიოზული ჯგუფი მიაშენა.

„400-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე არის განწევრებული ისლამური ხალიფატის მებრძოლებში. ახალგაზრდების გაყვანის ფაქტორი ადასტურებს, რომ აქ გარკვეული ჯგუფი მოქმედებს. ამის უკან დგას ისლამური ხალიფატის წარმომადგენლები, რომლებიც საკმაოდ ორგანიზებულად მუშაობენ. ის, რომ ისლამური ხალიფატის წარმომადგენლები საქართველოში გახსნია, ეს ფაქტია და საკმაოდ აქტიურ ფაზაში არიან გადასული.“

იხ. 5 გვ.

მადაც ფოთის მერს კონია

ფოთის მერის კაბინეტისთვის 4 939 ლარის ღირებულების ტელევიზორია შექენილი, თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა. ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა საუბრობენ. მათი თქმით, როცა ქვეყანაში და, მათ შორის, ფოთში მძიმე სოციალური ფონია, პრემიერ-მინისტრს „ქამრების შემოჭრის“ პოლიტიკას აცხადებს, მუნიციპალიტეტის ეს ქმედება გაუმართლებელია.

საპასუხო განცხადებას აკეთებენ ფოთის მერიაში. იქ ირწმუნებიან, რომ ტელევიზორი მანამდეა შექენილი, ვიდრე მთავრობა „ქამრების შემოჭრის“ პოლიტიკაზე გადავიდოდა.

„ამ ტელევიზორის დანიშნულება არის მხოლოდ ის, რომ მერმა თათბირებისა და სტუმრების მიღების დროს, ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით პრეზენტაციები გააკეთოს. ეს არის საინფორმაციო დანიშნულების შენაძენი და არა კომფორტისთვის, მისი მონაცემებით არ არის ეს ძვირი“, – აცხადებს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ზვიად შუბითიძე.

© ინფორმაცია

ახლა გინდ დასაჯეთ, გინდ - არა...

შს მინისტრი ვახტანგ გომელაური პანკისელი არასრულწლოვნის მიერ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთას და სირიაში წასვლას მესაზღვრის მიერ დაშვებულ შეცდომას უკავშირებს.

როგორც გომელაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, 16 და 18 წლის სკოლის მოსწავლეები თურქეთში, საიდანაც სირიაში გადავიდნენ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან გაემგზავრნენ. გომელაურის განმარტებით, საქმეზე გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა ჩატარა და მესაზღვრე, რომელმაც არასრულწლოვანი შეამოწმა, დაისჯება.

„ვალიარბე, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა, რომელმაც ბავშვს შეამოწმა, დაუშვა შეცდომა. ადამიანს შეეშალა, ჩვენ ამას ვალიარბე გვინსპექციამ საკითხი მოიკვლია და ეს ადამიანი შესაბამისად დაისჯება. სამსახურიდან გათავისუფლება თუ სასტიკი საყვედური გამოცხადდება, ეს არის გენინსპექციის გადასაწყვეტი. თუმცა, ვფიქრობ, ის მიიღებს ადმინისტრაციულ სასჯელს შს სამინისტროს შიდა დებულების შესაბამისად“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისივე განმარტებით, გამოძიება დაწყებულია იმ მიმართულებითაც, თუ ვინ დგას პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების სირიაში გადასვლის უკან და ვინ მოუწოდებს მათ ჩაერთონ „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ბრძოლაში.

© კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- იქნებ გამოიყვანოთ ასირიელი ბავშვები როგორმე მატაჯოვოვითიდან და აქ შევიფარებთ, დავიჯერო შანსი არაა? თუ დიპლომატია მოკვდა მსოფლიოში?
- ვფიქრობდი დამეწერა-არ დამეწერა... ემოციას ვერ ვუყრი თავს, მთელი დღეა მეტირება, გავივლი-გამოვივლი ამ სანყალ ხალხზე (რო არ მოგატყუოთ ბავშვებზე უფრო) ვფიქრობ. არ ამომდის თავიდან ეს კადრები, თვალები, აკანკალებული მხრები... აქ დაწერილია რას შეცვლია რო? როგორ შეიძლება ამას შევგუოს მსოფლიო?! არ მიყვარს ეს გულზე მჯიღის ცემა, მაგრამ რანაირი ხალხი ვართ, ამაზე თუ გავჩუმდებით, საით მივიდვართ, რა ჯისია ვართ? მთელი მსოფლიო უნდა შეზანზარდეს ამ კომპარის ნინაალმდე! ადგნენ და დაუშვან, რაც შეიარაღება აქვთ ამ ცივისსხლიან რობოტებს, ამდენ ლოლიავ-დიპლომატიაში გადის დრო, როდემდე ვუყუროთ თავმოყრილ ბავშვებს? რაღაცნაირად დანგრეული ვარ რა, გამო-

ფიტული... არ მეგონა მთლად ესეთ დამპალ სამყაროში თუ ვცხოვრობდით.

- ხალხო, ტყუილად ნერვიულობთ ადვიშვილის ამბავზე. ეს სრიკი პროკურატურამ მოიგონა, რომ ჩამოიტყუონ. აი, რომ ჩამოვა მერე ა ტა ტა ტა!
- სესიაშვილი, კობახიძე, გუგულა და ტყემალაძე ბადით ელოდებიან!
- ლუდოვიკოს რომ შენი ვახტანგი ფხვზე ეკიდა, მის შემდეგ არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ლუდოვიკოს ადგილი ბარაკმა დაიჭირა („ვახტანგის ადგილი იჭერს ხეჩუა, ქართლი გვეცლებოთ ვალდახელშეა“).
- ადვიშვილის ამბავმა გამასწენა.





მსოფლიო შეძრა ერაყში მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის მიმდინარე რელიგიურმა დაპირისპირებამ, ომმა, რომელიც ერთმანეთისგან არ არჩევს მტყუნებს და მართალს, დიდსა და პატარას... იმ დროს, როცა ქრისტეს საფლავთან ღვთიური ცეცხლი აღაფრთოვანებდა მართლმადიდებელ მრევლს, ერაყში ქრისტეს სიყვარულის გამო თავს ქრისტიან ბავშვებს, უმწიკვლო, უსუსურ არსებებს. ეს ხდება ჩვენს საუკუნეში, „მე ვარ შარლის“ ეპოქაში, და ამ დროს მსოფლიო დუმს!!! მსოფლიო უზადრუკად გამოიყურება!!! მსოფლიო არაფერს აკეთებს!!!

პკირას, 19 აპრილი რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ აქცია გაიმართება და ასურელი ქრისტიანების მხარდასაჭერად პეტიციას გაავრცელებენ. აქციის ორგანიზატორები შემდეგი სახის განცხადებას აქვეყნებენ: „დიდი გამოხმაურება მოყვა ამ აქციას, ძალიან დიდი იმედი გვაქვს, ერთად შევძლებთ, დავანახოთ მთელ მსოფლიოს, რომ მათ ჩვენი გვერდში დგომა სჭირდებათ. გვსურს, ყველაფერმა ჩაიაროს ძალიან გულწრფელად, არ იქნება სიტყვით გამოსვლები და არ იქნება არანაირი პოლიტიკური მესიჯები და ინტერსები. უზრუნველსტებს გთხოვთ, დაგვიდგეთ გვერდში და საზოგადოებამდე მიიტანოთ აქციის შესახებ. ასევე მოინვიეთ თქვენი მეგობრები“.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გუბაზ სანიკიძე საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, სირიელი და ერაყელი ქრისტიანებისა და იეზიდების დასახმარებლად ჰუმანიტარულ პროცესებში ჩაერთოს.

„ქართველი ხალხი, ხელისუფლება თუ ოპოზიცია, ყველანი ერთად უნდა ვიყოთ ამ საქმეში, რადგან ჩვენ ვართ გვაქვს ამ ხალხის მიმართ როგორც ისტორიულად, ისე სამომავლოც. ქართული ქრისტიანობა იშვა ანტიოქიის ქრისტიანობის წიაღიდან. მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, რომ ცოტა მეტი ვიფიქროთ ამ ადამიანებზე. საქართველო უნდა ჩაერთოს ჰუმანიტარულ პროცესებში. საქართველომ უნდა აჩვენოს თავისი სახე, როგორც ქვეყანამ, რომელიც ზრუნავს ადამიანებზე ქვეყნის გარეთაც. საუბარია აღმოსავლეთის ქრისტიანებზე და იეზიდებზე. იეზიდური წარმომადგენელი მოქალაქე გვყავს. ქართულმა სახელმწიფომ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, სპეცსამსახურებმა, შსს-მ ცოტა მეტი უნდა ვიფიქროთ ამასთან დაკავშირებით. უფრო მეტი ყურადღება გვმართებს“, – განაცხადა სანიკიძემ.

მისივე თქმით, სირიასა და ერაყში ძალიან მძიმე ვითარებაა. სანიკიძე აღნიშნავს, რომ სახეზე გვაქვს ძველი აღმოსავლური წარმომავლობის ქრისტიანების გეგმაზომიერი განადგურება. „ვითარება არის ასეთი: ისლამური თემის წარმომადგენლები, ტრადიციული სუნიზმის მიმდევრები, ტრადიციული შიიზმის მიმდევრები, ქურთები, ავად თუ კარგად მაინც ასერსებენ თავის დაცვას, მაგრამ იქ მაინც ცხოვრობენ ძველი აღმოსავლური წარმომავლობის ქრისტიანები, კერძოდ, ერაყელი ქრისტიანები, სირიელი ქრისტიანები და იეზიდები. ისინი ითვლებიან ყველაზე მოწყვლად ნაწილად ახლო აღმოსავლეთში, მათი უფლებები გატოლებულია ნულთან და სახეზე გვაქვს მათი გეგმაზომიერი განადგურება“, – განაცხადა სანიკიძემ.

შემზარავ კადრებს, რომელიც სოციალური მედიით ვრცელდება, არაერთგვაროვანი გამოხმაურებები მოჰყვა.

ბაკურ ბაკურაძე: „მეზობლებმა ყველა სუპერსახელმწიფო! მათზე მეტად კი შეშინებული და გამორჩენას ადევნებული, კომფორტულად მონყობილი სახელმწიფოები მძულს, სადაც მცნება ღირსება, ნამუსი დიდი ხნის და ვინცებულება და ფულით განისაზღვრება ყველაფერი. მაშინ, როცა კონფერენციებში და ეტიკეტ-პიარ ტლიკინ-

როდემდე ვუყურით თავემოჭრილ ბავშვებს?

აუსილვლად გვი უნდა იყოს, ან სექტანტი, ხმა რომ ამოვიღოთ?

ში მილიარდებს ხარჯავენ, ფსევდო დეკლარაციებისა და ხელშეკრულებების ჯღაბნაში რამდენი ფურცელიც იხარჯება, მხოლოდ იმის თანხაც საკმარისია ასურელი ბავშვების გადასარჩენად.

ესაა განვითარებული ცივილიზაცია?!

თიკო თვალაძე: „ემოციას ვერ ვუყრი თავს, მთელი დღეა მეტირება, გავივლი-გამოვივლი ამ საწყალ ხალხზე (რო არ მოგატყუოთ ბავშვებზე უფრო) ვფიქრობ. არ ამომდის თავიდან ეს კადრები, თვალები, აკანკალებული მხრები... მთელი მსოფლიო უნდა შეზანზარდეს ამ კომპარის წინააღმდეგ! ადგნენ და რაც შეიარაღება აქვთ და დაუშინონ ამ ცივისსილიან რობოტებს, ამდენ ლოლიავ-დიპლომატიაში გადის დრო, როდემდე ვუყურით თავმოჭრილ ბავშვებს?“

ლელა წიკლაური: „მე ვარ ასურელი...! მოდი თუ მომკვეთთ თავი, ან ცოცხლად დამწვით, მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და არ მეშინია თქვენი, მომამულეთ სიცოცხლე თქვენს მიერ ჩადენილი საზარელი დანაშაულის გამო! რჯულქალღელები იყავით ყოველთვის და რჯულქალღელებად დარჩით! ასეთ რამეებს რომ სჩადიოდით, იმიტომ გაჭრიდათ ჩემი წინაპარი მარჯვენას, ესლაც გაგიხმეთ ხელი, წყეულებო! თქვენ შეგრიხსოთ დროულად ჩემმა ღმერთმა!“

მერაბ ქვარაია: „რა დავარქვით იმას, რაც ამ ბოლო დღეებში თანამედროვე მსოფლიოში ხდება?!... წამოუდგენელი ძალადობა და ამის ტირაჟირება ხდება მასმედიით, სოციალური ქსელებით... ადამიანებს თავებს აჭრინ, ცოცხლად წვავენ, ბავშვებს აწამებენ, სიცოცხლეს დასცილიან, საღიზში ყოველგვარ საზღვრებს გადაადის და თავს იწონებს! სამყარო კი დუმს!“

ნუთუ ეს უმნიშვნელოა სამყაროსთვის?!

გვანცა შაქარაშვილი: „მსოფლიოს ლამაზმანებო, ხუთათასზე ნაკლები მეგობარი რომ არ გყავთ არც ერთს და დღე და ღამე თქვენი დაბერილი ტუჩებითა და ყოველდღიური საკვები რაციონით რომ აჭრელებთ ონლაინ სივრცეს, კი ნამდვილად კარგები ხართ და ღმერთმა გამრავლოთ მაგრამ, ხომ არ მოვიდა იმის დრო, რომ ცოტა გვერდზე გავიხედ-გამოვიხედოთ და თვალი გაუსწოროთ დღევანდელი მსოფლიოს რეალობას? იგივე გეხებათ „პოლიტიკოსებს“. აი, ამ ბავშვების ფოტოები გამოაქვეყნეთ და ხმა აიმაღლეთ იმისთვის, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ სულის ჩამდგმელმა „მამებმა“ იქნებ ცოტა შეინუხონ ღრმად პატივცემული უკანალები და გადახედონ თავ-

ვინათ საქმეებს, სასაკლავოდ რომ აქციეს ეს პლანეტა!!!“

ნინო გელაშვილი: „ბოდიში ვილაც შარლ ებდოებზე გადაცემები რომ აკეთებ ქართულ ტელევიზიებო, გამგები გაიგებს, ცრემლები რომ აღვარღვარეთ უზრუნველსტებო და კიდევ საზოგადოების ნაწილი, მესმის ეს ყველაფერი, გულთან მიიტანეთ, მაგრამ რაც სირიაში ხდება, რაც ქრისტიანებს იქ საქმეს უკეთებენ, განსაკუთრებით ბავშვებს, თუნდაც ერთ დიდ გადაცემას თავისივე შარლი ებდოებზე მგლოვიარე საზოგადოებით რატომ არ გადაკეთებთ? აუცილებლად გვი უნდა იყოს ან სექტანტი, ხმა რომ ამოვიღოთ? ძალიან გთხოვთ, დაგუდგეთ გვერდში ასურელ ქრისტიანებს, დავგმოთ ის საშინელება, რაც დღეს ხდება. ვთხოვთ სახელმწიფოს, შეიფაროს ასურელი ოჯახები!“

მანანა კვავაშვილი: „ქართველები კეთილშობილი ხალხი ვართ გენეტიკურად. ყველანიც შევიფარებთ დაობლებულ ბავშვებს. მაგრამ ამ ბავშვებისთვის აუცილებელია, რომ მათ მშობლიურ გარემოში იყოს მშვიდობა და არ მოწყდნენ თავის ფესვებს. მსოფლიოს მამებმა უნდა შეაჩერონ მათ მიერ წარმოებული აგრესია...“

არიან სკეპტიკოსები, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით არ ხვდებიან მხარდასაჭერ აქციებს და ინტერნეტში გავრცელებულ ფოტოებსაც ეჭვის თვალთ უყურებენ.

სათუნა ხუნდაძე: „არის მოსაზრება, რომ ამერიკა ავრცელებს ამ ფოტოებს, რათა ჯარი შეიყვანოს სირიაში, ...არ ვიცი, ნუთუ ასე დაფარულია სირიაში 21-ე საუკუნეში??? ეს ბავშვი მაგალითად, მუსლიმია, ლინკს ვერ ვეძებ, მაგრამ ეს ცრემლიანი ბიჭი, მუსლიმია... არც მაგას აქვს მნიშვნელობა, რომელი რელიგიაა, მაგრამ სულ სხვა მიზეზით ტირის...მირჩენია, ტყუილი იყოს ეს ამბავი, ვიდრე მართლა სოციალდენ ბავშვები...“

„ქართული ტელევიზიების ნაჩვენები კადრები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ტყუილია, გამოგონილია და ფაქტები დამახინჯებულია!!!“ – წერენ ერთგან.

ამის ფონზე ორგანიზაცია „ჯავახკიმ“ სირიელი სომხების საქართველოში შემოსახლება მოითხოვს. „ამ პეტიციის ტექსტი სულ ეს არის: „ასურელ ქრისტიან ოჯახებს, მათ შორის ბავშვებს, ხოცავენ და ცოცხლად წვავენ ექსტრემისტი მუსულმანები. ეს ხდება ძალიან ახლოს ჩვენგან – ერაყის და სირიის ტერიტორიაზე. ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, შეიფაროს ეს ოჯახები საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს მოქალაქეები კი აღმოუჩინეთ მათ ჰუმანიტარულ დახმარებას“. „ჯავახკიმ“

ბარაკი იყო ვითომ ასურელ ბავშვებზე, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ვილაც ითხოვს, საქართველოში შეიფაროს მთელი ოჯახები. ვინ იქნებიან ეს ოჯახები, რა აღმსარებლობის და რომელი ეროვნების, მითითებული არაა. სინამდვილეში ვინ შეიძლება შემოსახლონ და იქნებიან თუ არა ეს მსოფლიოდ ასურელები, ამის თქმა შეუძლებელია. რუსული „ჯავახკის“ განცხადებების ფონზე ერთი რამ გავიგეთ, რომ ვილაც უნდა სირიელი სომხების საქართველოში შემოსახლება. საინტერესოა, რატომ არ ითხოვს „ჯავახკი“ სომხეთის მთავრობისგან, რომ სირიელი სომხები სომხეთში ჩასახლონ? სამწუხაროა, რომ ამ გაურკვეველ პეტიციას ამდენი ადამიანის ბრმა ხელმოწერა აქვს“, – ასეთი კომენტარებიც ბევრია ინტერნეტ სივრცეში.

და ბოლოს, სათუნა სიდიამონიძე: „მე აქციაზე მივდივარ არა მხოლოდ ასურელი ქრისტიანების მხარდასაჭერად, არამედ ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანის სიცოცხლის უფლებისთვის, მით უმეტეს, როცა საქმე ბავშვებს ეხება!!! რა მნიშვნელობა აქვს, ქრისტიანი იქნება, მუსლიმი თუ იუდეველი, ადამიანებო?! და მუსლიმ ბავშვებზე თვალებს დახუჭავთ და გაატარებთ?! მაშინ ზუსტად იმავეს ჩაიდენთ, რასაც ის მხეცები აკეთებენ!!!“

თბა მუსია



იდეოლოგია და სიცარიელე

იმავდროულად, უნდა ვალიაროთ, რომ კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე ეს მოდელი მარგინალიზებულია. კაცმა რომ თქვას, მის გაცოცხლებასა და თავიდან ამოქმედებას ახალი სტალინი სჭირდება (პირობითად). ახალი სტალინი კი ჰქაერიდან ვერ განდებდა, რადგან მისი „გამოვრების“ წინაპირობები ზემოთ ხსენებულ იდეოლოგიურ ველში შექმნილი არ არის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სოციოლოგიურ ლაბორატორიებში შესაბამისი და ბუნებრივად განახლებადი ჯიშის ნერგები ვერ არ გამოუყვანიათ. ამიტომ დიალექტიკოს კომუნისტებს — მიუხედავად მთელი მათი სულსწრაფობისა — მოცდა მოუწევთ. არც ისაა გასაკვირი, რომ სტალინის ღვანჯლის უარყოფელმა ახალმა „დემოკრატიულმა“ რუსეთმა თავის ხალხს, 90-იანი წლების კონტრრევოლუციის ფარგლებში, კომუნისტურ უკეთესი ახალი ვერაფერი შესთავაზა და ეს იქიდანაც კი ჩანს, რომ ელცინის ხელისუფლებამ თავის დროზე იოლი გზა აირჩია და რუსეთის კონსტიტუციაში წამყვანი სახელმწიფო იდეოლოგიის რაღაც ფორმით ხსენება საერთოდ აკრძალა. მაშინ ასეთი „დე-იდეოლოგია“ მიღწევად ჩაითვალა. მით უმეტეს, რომ ყველაფერი ისედაც ახალგაზრდად „ლიბერალების“ ხელში იყო და მათ კონკურენტები არ სჭირდებოდათ. მაგრამ საზოგადოების იდეოლოგიიდან დაცლამ უკუჩვენებაც იცის: შედეგად რუსეთში (სხვათა შორის, ისევე როგორც საქართველოში) თანდათანობით შეიქმნა იდეოლოგიური ვაკუუმი, ბუნება კი, საზოგადოება, ვერაფერი ვაკუუმში ვერ იტანს. ამიტომ ჩვენ მონშენი ვართ იმისა, თუ როგორ იგება ეს ვაკუუმი სხვადასხვა ფრიად საეჭვო ღირებულების მქონე იდეებისა და ძალების მიერ, რომელთა განხილვა აქ მეტიმეტად შორს წავივებანდა.

2) დასავლური ლიბერალური მოდელი (თავისუფალი კონკურენცია, ადამიანთა საბაზო უფლებების დაცვა — მათი ჩამონათვლიდან სოციალურ უფლებათა ამოღების ფასად (სკანდინავიური) ტიპის გამონაკლისები „არ ითვლება“ და ამ იდეოლოგიის საწინააღმდეგოა) — დღეს, მართალია, გამარჯვებულია, მაგრამ ამ გამარჯვებამ იმდენი განხეთქილება შეიტანა მსოფლიოში — ევროპის ისლამიზაციის დაწყებებიდან გაუთავებელ „ფერად რევოლუციებამდე“, იმდენად უძლური აღმოჩნდა მსოფლიო სილატაკის დაძლევის საქმეში, იმდენად ნაყოფიერია „ამა ქვეყნის ძლიერთათვის“ ე.წ. „ლუზერების“ ხარჯზე, ისე გაზარდა გლობალური ცივილიზაციური კონფლიქტის საფრთხე, რომ ლამის „ცივი ომის“ ხანა მონატროს მსოფლიოს... მისი ძლიერი მხარე სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროში ლიდერობაა, მაგრამ ცხოვრება მხოლოდ ინოვაციებისგან არ შედგება (თუმცა, მათ გარეშეც არაფერი გამოდის). ამიტომ, კაცმა არ იცის, როდის შეფასდება „ლიბერალ-დემოკრატიების“ გამარჯვება „პირობის გამარჯვებად“ და როდის და რა ფორმით მოუწევს ე.წ. „მონშენი კაცობრიობას“ დამუხრუჭება მათ მიერ არჩეულ გზაზე. ფუკუიამას „ისტორიის დასრულების“ თეორიამ რომ არ გაამართლა და ისტორია მაინც გაგრძელდა, ეს თითო ფუკუიამამაც კი აღიარა.

3) ჩინური (კონფერენტული) მოდელი გარკვეული სიმბიოზი პირველი ორისა (კომპარტიის ერთპიროვნული მმართველობის შესაბამის საბაზო ეკონომიკის პრინციპებთან), რომელიც ჯერჯერობით ამართლებს. დღეს ჩინეთი — გიგანტური წარმატებული ქვეყანა უდიდესი გლობალური პერსპექტივებით. თემას ოდნავ გადაუხვევ და შევნიშნავ, რომ ჩინური მოდელის წარმატების საფუძველში ის საკარალურ-პოლიტიკური მოტივიც დევს, რომ ჩინეთის პარტიულ ხელმძღვანელობას თავის დროზე ეყო იმის ჭკუა და შორსმჭვრეტელობა, რომ ჯეროვნად შეფასებინა მემკვიდრეობითობის სახელმწიფო მნიშვნელობა და ხელი არ ესლო მათს დაბალზამებულ ცხედრისთვის, მიუხედავად ყველა იმ ექსცესისა, რომლებიც მოხდა სახალხო ჩინეთში მათს მმართველობის დროს.

რაც შეეხება საქართველოს — ჩვენი ზომის პრობლემურ ქვეყანას, ალბათ, განსაკუთრებული პრეტენზიები რაღაც ახალი მსოფლიო იდეოლოგიის შექმნაზე არ უნდა ჰქონდეს (თუმცა, პიროვნულ დონეზე გამოჩნცული არაფერია). ამას კი სინანულით დაეუბნებოდა, რომ ჩვენში დღესდღეობით არც ერთი მოდელი არ მუშაობს და სწორედ ამის შედეგებს ვივით როგორც ყოველდღიურ ფაქტს ვხედავთ, ისე ზემოთ ხსენებულ „მგზნებარე“ თოქ-შოუებში. რეალურად ჩვენ დასავლურ-ლიბერალური მოდელის ერთი „მოჩანწალი“ ებიგონის როლით ვგაყოფილდებით. მას მეფე, რაც დამარცხებული კომუნისტური ჯერ დამარცხებულმა ნაციონალიზმმა, შემდეგ კი „გამარჯვებულმა“ დემოკრატიამ შეცვალეს, რაიმე ნაყოფიერი, ეროვნულად შეფერადებული იდეოლოგია ჩვენში ფაქტობრივად არ არსებობს.

საზოგადოდ, ნებისმიერი ღირსეული ხელისუფლების თვითდაცვითი ინსტიტუტის თვალსაზრისით, იდეოლოგიური ფაქტორის დაკნინება უდიდესი, ზოგჯერ ფატალური შეცდომა შეიძლება გახდეს. ასე მაგალითად, 80-იანი წლების „საბჭოთა კომუნისტებს“ (რომლებიც შემდგომ იოლად გარდაიქმნენ „პოსტსაბჭოთა დემოკრატებად“) არაფრით არ სურდათ იმის შეგნება და გაგება, რომ სტალინიზმმა ბრძოლის დროშითა გამართული ქვეყნის დეიდოლოგიზაცია არის მითი, ლეგენდა შექმნილი იმისთვის, რომ ძველი იდეოლოგია რაღაც ახლით ჩანაცვლებულიყო. მაგრამ თუ ეს „ახალი“ სინამდვილეში არ გაქვს (ან გაქვს, მაგრამ მიზეზთა გამო ხეირიანად ვერ იყენებ), მაშინ გარეგნულად ყველაზე მძლავრი სახელმწიფოც კი განხორციელდება — მისი მოსახლეობის სწრაფად ეფლობა უიმედობის ჭაობში, რადგან მალალი მიზნის უქონლობის პირობებში მის ძველებურად არსებობას აზრი ეკარგება. 90-იანების პოსტსაბჭოთა პერფორმაცია ითუოდ მავანმა (ვისაც ხელი მიუწვდებოდა) ისარგებლა და მოიგო, გამედრდა კიდევ, მაგრამ ქვეყანამ (ერთიანად — როგორც კავშირმა, და რესპუბლიკებმა ცალკე) და საბჭოთა ხალხმა (რასაც მაშინ უწოდებდნენ) მთლიანობაში რომ წააგეს, ეს ალბათ, საკამათო არც არის. არადა, ფაქტია, რომ ქართულმა მმართველმა „ელიტამ“ ანტიკომუნისტური გადატრიალების შემდეგაც ვერაფერი პოზიტიური ვერ შესთავაზა ჩვენ

ხალხს (ექსტრემისტული რადიკალ-ნაციონალიზმი ასეთ პოზიტივად ვერ ჩაითვლება — ვე ყოველთვის უფრო გარე პროვოკატორების მიერ შემოგდებული იარაღი და აზრთა წყობაა და არა შიდა წარმოების იდეოლოგია, თუმცა, ჩვენ ჩვენი ავანტიურისტები არასოდეს გვაკლდა). ეს უმწიკობა, სხვათა შორის, დიდ ხელსუფლებაშიც გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ წარსულის უარყოფა და ანმეოს კრიტიკა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე დაგმობილის სანაცვლოდ რაღაც რეალურისა და უკეთესის შემოთავაზება. მაგალითისთვის, გადავხედოთ, თუნდაც, ქართული კინოს ისტორიას. უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში დაიდგა ორი მაინც მართლაც რომ დიდებული, მასშტაბური და იმავდროულად უაღრესად იდეოლოგიზირებული სურათი: „მონანიება“ და „ციფერი მთები“. ამ სურათების ხილვა ესთეტიურ სიამოვნებას დღესაც მანიჭებს — ნიჭი დიდი ძალაა! — მაგრამ რა შემოგვთავაზებს ამ ფილმებმა დაგმობილი წარსულის სანაცვლოდ? მხოლოდ სენსაციას, რომ, თურმე, გზას თუ ტაძრისკენ არ მიყვავართ, ასეთი გზა საჭირო არაა, ნაღვლიანი „ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“ და გრენლანდია, რომ-

თუ ღირსეული ქვეყნის შექმნა და შენარჩუნება ჯერ კიდევ გვსურს



ლის გატანა — როგორც ეს ნანინასწარმეტყველებიც იყო — ვერანაირი საზოგადოებრივი წყობის დროს და ვერანაირი რევოლუციის შედეგად მაინც ვერ ხერხდება. ვფიქრობ, ახალი პოზიტიური იდეალების შესაქმნელად ეს შედეგები იმთავითვე არ იყო გამოიწველი, სხვა კი ჩვენმა ეპოქამ ვერა და ვერ შვა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ დასავლურ-ლიბერალურ მოდელს, მისი განხორციელების მცდელობა საქართველოში ჯერჯერობით წარუმატებელი აღმოჩნდა. ის წააწყდა მოსალოდნელ, მაგრამ თითქმის გადაუღებელი დაბრკოლებებს — ძირითადად მუდმივმოქმედი გეოპოლიტიკური ფაქტორების გამო... ნაწილობრივ, თავად დასავლეთის მიზეზითაც, რომელმაც შესანიშნავად გამოიყენა „ომში დამარცხებული ქვეყნის“ სინდრომი და მთლიანად დაეუფლა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ სადავებს — გრენლანდიის გატანა ამისთვის საჭირო არ გახდა, რამეთუ ერთადერთ მთავარ იდეოლოგიად ლატაკ და მშოერ ქვეყანაში ჩვეულებრივი კონფორმიზმი თავისთავად ყალიბდება ხოლმე. დასავლეთმა (პირველ რიგში აშშ-მა) ახალ, „დემოკრატიულ“ საქართველოს მხოლოდ ანტირუსული ბრძოლის ინსტრუმენტის სავალალო ფუნქცია მიაწვია. სხვაწარად დასავლეთს პოსტსაბჭოთა სივრცის „დალაგება“, სამშუბაროდ ვერ წარმოუდგენია (ეს უკრაინაშიც გამოჩნდა) და ამიტომ ის — ვალბი მეგობრული დიმილით ნიღაბფარებულ სახეზე — ძალზე სწორად გვაიძულებს, საერთოდ არ გავეჩვიოთ არანაირი ანგარიში ჩვენს სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს. მან იმდენი კი მოახერხა, რომ ჩვენი ტოლერანტი „მედასავლეთეები“ (რომელთაც უზურპირებული აქვთ არსებული პოლიტიკური — და ნაწილობრივ მედიური — გარემო და მცირეოდენი ძველის ფასად შესანიშნავად ერგებიან დამკვეთების ნებას და ეგუებიან „ლიბერალური ფაშისტების“ ნებაყოფლობით მონობას) სიამოვნებით ასრულებენ ზოგიერთი საელჩოს ნებისმიერ დაკვეთას, თუმცა, ჩვენი „დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიების“ ამ „ჭინთვების“ რაიმე სერიოზული იდეოლოგიის როლში წარმოუდგენა უბრალოდ სასაცილო იქნებოდა.

თან არ იკითხავთ, რას გვახვევენ თავზე ეს „მეგობარი“ დამკვეთები? ლუის ნავაროსა და მისი „მადნაფიცების“ მიერ შემუშავებულ სისტემას, რომლის ძირითადი ელემენტი თურმე ოპე-

რეტული ორპარტიული დემოკრატია უნდა გახდეს. ზეამოცანა კი საქართველოში იმგვარი ორპარტიული „დემოკრატიის“ დამყარებაა, რომლის ფარგლებში ორი ერთმანეთის მონაცვლე პრო-ამერიკული პარტია დრო-დრო მშვიდობიანად ჩააჩრჩებს ხოლმე „ოპონენტს“ ქვეყნის სათავეში. ამ გეგმით ჩვენ გვეყოლება ორი ლამის „ტყუპისცალი“ სახელისუფლებო პარტია და ორივე პრო-ამერიკული... და მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი? სხვაგვარად მოვიქრალნი? რომელი სერიოზული „იდეოლოგია“ შეძლებს ამ პოლიტიკური შუღერობის გამართლებას? ნუთუ ეს იმიტირებული თაღლითობა ერსა და ქვეყანას გამოადგება? არ დაიჯეროთ!

რადგან აქ ირიბად მომავალი იდეოლოგიის შერჩევაზე მიდის საუბარი, რელიგიის როლზეც მომიწევს ორიდენ სიტყვის თქმა (საქართველოს შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებლური კონფესია იგულისხმება). პოსტსაბჭოთა კლერიკალიზმის თანდათანობით აღზევება და ეკლესიის პოლიტიკურ მიზნით გამოყენების ცოდვილი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუმცა, ეკლესია მართლაც გვევლინება ხელისუფლების სოლიდური და საყრდენის როლში, ამ როლის სიძლიერე და დამაჯერებლობა უფრო მეტად განისაზღვრება არა იდეალური, არამედ საეკლესიო მატერიალური, მინიერი ფაქტორებით, სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის ღია მხარდაჭერით და ა.შ. იმავდროულად და ზემოთქმულის გათვალისწინებით, რელიგიის მიერ იდეოლოგიური ვაკუუმის შევსება მაინც ობიექტურ შეზღუდვებს აწყდება და ეს სრულიად ბუნებრივიცაა — თუ, რასაკვირველია, სამომავლოდ ჩვენ და ჩვენ შვილებსა და შვილი შვილებს საერო სახელმწიფოში მოუწევთ ცხოვრება და არა თეოკრატიულში. ამიტომ ამ ბუნებრივ შეზღუდვას ანგარიშს უნდა უწევდეს ნებისმიერი ხელი-სუფლავის იმისა და მიუხედავად თუ რამდენი ტაძარი აიგება ქვეყანაში რაიკომის შენობის სანაცვლოდ. საერო ხელისუფლების რელიგიასთან ურთიერთობის პრობლემა საკმარისად რთული, ტყვადი და სათუთი თემაა, რომლის განხილვა ნამდვილად ალემატება ამ წერილის ფორმატს, თუმცა, ამ პატარა თხზულების ძირითადი პათოსი მაინც უცვლელი რჩება — დღეს საქართველოს ეფექტიანი იდეოლოგია არ გააჩნია და პიარ-დიქტატურებისა და სახელმწიფო მართვის ჩამოყალიბებული კულტურულ-ოლიგარქიული სტილის პირობებში, მის დაბადებას მაინცდამაინც არ უნდა ველოდეთ, რამეთუ ამ მხრივ ჩვენთან გაცილებით მეტი ხელისშემშლელი ფაქტორი მოქმედებს, ვიდრე ხელისშემწყობი. არადა, ასეთი იდეოლოგიის ელემენტების შექმნა არათუ მისასალმებელი — აუცილებელიც კი არის.

ქართული საზოგადოება (უფრო სწორად, მისი მენინავე და მოაზროვნე ნაწილი) დღეს რეალურად რთული ამოცანის წინაშე დგას: როგორმე — თუნდაც, ემპიკობითა და მოხერხებით — მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად გაიყვანოს გემი სახელად „საქართველო“ დემოკრატიულ სცილასა და ტოტალიტარულ ქარიზმს შორის. ამისთვის კი მოყირჭებული თოქ-შოუებით საკუთარი თავის გამოკვება საკმარისი არაა. ქვეყანას რაღაც ცოცხალი, მართლაც ინოვაციური იდეოლოგია სჭირდება, რამეთუ იდეოლოგიური ინოვაციები სწორედ რომ ტექნოლოგიური ინოვაციების წინაპირობაა — და არა პირუკუ. სამეცნიერო, ტექნოლოგიური, სამრეწველო სიახლეების გარეშე კი ქვეყანა ოცდამეერთე საუკუნეში ნორმალურად ვერ განვითარდება, ვერც კი იარსებებს ღირსეულად, როგორც ეს თანამედროვე ერს ეკადრება და შემეშინის. ინოვაციათა ჩამონათვალში კი საბაბილო ადგილი უნდა დაეთმოს იდეურ და კულტურულ ინოვაციებს: ახალ ბეჭდვით გამოცემული ტელეკომუნიკაციები და საინფორმაციო ინტერნეტ-საიტებს — სახელმწიფო პატრონაჟის ქვეშ, პერსპექტიულ და მობილურ პუბლიცისტურ ჯგუფებს, რომელთაც ნათლად წარმოუდგენია თუ რისთვის არსებობენ და რას ემსახურებიან (დღეს ასე არაა, ყველა აიღოს აჯაბანა-დალა). სახელმწიფომ ხელი უნდა აიღოს ვერ და დემოკრატიულ „დეიდოლოგიზაციაზე“ და მეტად (თუმცა, რა თქმა უნდა, გააზრებულად და ჭკვიანურად) ეროვნულ კულტურულ პოლიტიკაში, გააჩიოს ერთმანეთისგან შავი და თეთრი, მოყვანად და მტერი, გარკვეული განწივ განისაზღვროს — სხვაწარად წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. ხოლო თავად იდეოლოგის — და მით უფრო პროპაგანდისტის — მთავარი მოვალეობა უნდა გახდეს მომხრეთა ოდენობის რადიკალურად გაზრდა და არა „ორჯერ ორი ოთხის“ მტკიცება ცინიკოსების ერთი და იგივე ვინრო წრისათვის, თანაც ისეთებთან, რომლებიც რაიმე ახალ მტკიცებულებებს საერთოდ არ საჭიროებენ.


და არც ის უნდა გვაინყდებოდეს, რომ არა იმდენად მიზანი აპირობებს იდეოლოგიის ფორმებს, როგორც სათანადო ფორმის იდეოლოგია განსაზღვრავს სამომავლო მიზნებს — ვითარაც საზოგადოებრივი ცხოვრების არსსა და აზრს.

მაგრამ ამისთვის ქვეყანაში რეალურად უნდა გაჩნდეს ასეთი იდეოლოგიის (ან მისი ელემენტების მაინც) შემუშავების სურვილი. დღევანდელ „ელიტას“ ან ემსის ეს, ან — არა, უფრო არა. არადა, სწორედ გაგების ამ ხარისხში ვლინდება თუ რას ვაკვირდებით ყველანი ერთად: ახალი და ჭკვიანური ელიტის თანდათანობით დაბადებასა თუ მორიგ ისტორიულ ფანდს, ფარსს, ანუ იმ მტაცებელურ-ეგოცენტრიკული ფსევდოელიტის მორიგ აყვავებას, რომლის მსგავსებმა დღემდე უკვე არაერთხელ დააკნინეს საქართველო, არაერთხელ ჩიხში შეიყვანეს და კინალამ დაღუპეს იგი.

ამიტომ, თუ ღირსეული ქვეყნის შექმნა და შენარჩუნება ჯერ კიდევ გვსურს, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ნამდვილი (და არა იმიტირებული) იდეოლოგია ქვეყანას მართლაც სჭირდება. სიტყვა „ნამდვილი“ ამ შემთხვევაში გულისხმობს არა იმპორტირებულ ღირებულებათა ჩვენს ნიადაგზე მექანიკურად გადმოტანას, არამედ შემოქმედებით შრომასა და ამ შრომის შედეგად ისეთი გააზრებული გეგმის შედგენას, რომელიც გამოადგება რომელიღაც მომავალ ხელისუფლებას თუნდაც იმისთვის, რათა კრიტიკულ ვითარებაში მან საკუთარი თქმელობითა და უნიათობით მთელი ქვეყანა უცაბედად თავის ეგოისტურ-კომპრადორულ კომპლექსებს არ გადააყოლოს.

ბოგი ლორთქიფანიძე.

კვალი დროში



2015 წელს საზოგადოება აღნიშნავს ცნობილი ქართველი იურისტის, სამართლის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის ისიდორე ღოღოძის (1915-1982 წწ.) დაბადებიდან 100 წლის იუბილეს.

ისიდორე ღოღოძე დაიბადა 23 მარტს (5 აპრილი) გურჯისტანის სოფელ ხვარბეთში. 1933 წელს ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. სამი წლის შემდეგ მას, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, სვერდლოვსკის იურიდიულ ინსტიტუტში აგზავნიან, რომელსაც 1938 წელს ამთავრებს და იმავე წელს მოსკოვის იურიდიულ მეცნიერებათა სრულყოფილ საკვაშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხება. აქ იწყება ი. ღოღოძის ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა. ახალგაზრდა მეცნიერი ქართული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი — ვახტანგ VI-ის სამართლის ნიგნის დანიშტერესდა. ცნობილი რუსი იურისტის ს. იუშკოვის ხელმძღვანელობითა და ივანე ჯავახიშვილის მეცნიერ-კონსულტანტობით ის იცავს საკვალიფიკაციო ნაშრომს თემაზე „ვატანგ VI-ის სამართლის ნიგნის დანიშტერესდა“. 1941 წელს, ი. ღოღოძე ბრუნდება თბილისში და მოღვაწეობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელთანაც მას შემდგომ ორმოც წელზე მეტი საპროფესორო მოღვაწეობა დააკავშირებს. იურიდიულ ფაკულტეტზე ი. ღოღოძე კითხულობდა სახელმწიფო და სამართლის თეორიას, რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას. მეტად დიდია ბ-ნი ისიდორეს დამახარებელი მალაქალიფიციური იურიდიული კადრების აღზრდაში. ის იღვწოდა უნივერსიტეტისა და ქართული იურიდიული სკოლის პრესტიჟის დასაცავად. ცნობილი იყო როგორც მომთხოვნი ლექტორი და მეცნიერ-ხელმძღვანელი, მიაჩნდა რა, რომ აუცილებელია მალაქალიფიციური იურიდიული კადრების აღზრდა. ფართო მეცნიერული დიაპაზონი და საუცხოო მჭევრმეტყველური ნიჭი განსაზღვრავდა ი. ღოღოძის ლექციებისადმი დიდ ინტერესსა და მათ პოპულარობას.

ი. ღოღოძემ თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში თანამიმდევრულად გაატარა და პრაქტიკულად განახორციელა ი. ჯავახიშვილის აზრის საისტორიო წყაროთა გამოცემისა და შესწავლის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის შესახებ. უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მას ძველი ქართული სამართლის ძეგლების შესწავლისა და გამო-

სამართლის ისტორიის დაუღალავი მკვლევარი

ცემის საქმეში. ამ მხრივ, საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი „ქართული სამართლის ძეგლები“ რეკომენდებული. ამ მონუმენტურ ნაშრომში თავმოყრილია მრავალსაუკუნოვანი ქართული საარქივო დოკუმენტები, შეკრებილია 4000-მდე საბუთი, რომელიც ფასდაუდებელ ცნობებს გვანდის არა მარტო ქართული სამართლის ისტორიის კუთხით, არამედ ქართველი ერის სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის. ი. ღოღოძემ მოახდინა ამ მასალის კლასიფიკაცია და გააანალიზა ის სამართალმცოდნეობითი თვალსაზრისით. ტექსტების გამოცემა ახლავს შენიშვნები და საძიებლები, ცალკეულ შემთხვევაში ლექსიკონი და გამოკვლევა. „ქართული სამართლის ძეგლები“ რეკომენდებულია გამოცემა 1963 წელს დაიწყო და მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, 1985 წელს, დასრულდა. „ძეგლების“ პირველ ტომში შევიდა „ვახტანგ VI-ის სამართლის ნიგნის“ ტომი, რომელშიც გაერთიანებულია როგორც უცხოური, ისე ქართული ორიგინალური ხასიათის სამართლის ნიგნები. „ქართული სამართლის ძეგლები“ II-III ტომები, მოიცავს უმნიშვნელოვანეს საერო (ტ. II, 1965 წ.) და საეკლესიო (ტ. III, 1970) საკანონმდებლო აქტებს. ქართული საეკლესიო საბუთების ასეთი სრული, გამართული და ქრონოლოგიურად დალაგებული ტექსტები პირველად გამოიცა. XVI-XIX სს. სასამართლო განჩინებები შეადგენენ IV (1972 წ.), V (1974 წ.) და VI (1977 წ.) ტომების შინაარსს. „ქართული სამართლის ძეგლები“ VII (1981 წ.) და VIII (1985 წ.) ტომებში შესულია არზაოქმები 1717 წლიდან 1853 წლის მისამდე. VIII ტომი შეიცავს აგრეთვე სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი წლების (1840-1856) უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტებს.

ქართული სამართლის ისტორიის კვლევა ი. ღოღოძის სამეცნიერო მოღვაწეობაში მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო სამართლის ძეგლთა გამოცემასთან. 1950 წელს მან განახორციელა შუა საუკუნეების ევროპული სამართლის ტექსტთა პირველი პუბლიკაცია სათაურით „ადრეფეოდალური სამართლის ძეგლები“ (ტ. I), რომელიც 1962 წელს გამოაქვეყნა „შუა საუკუნეების სამართალი“ (ტ. 2.), რომელშიც თავმოყრილია განვითარებული ფეოდალიზმის ხანის (XI-XIV სს.) ევროპული სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა პირველი ქართული თარგმანები ორიგინალებიდან. 1960 წელს დაისტამბა „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“ (დამხმარე სახელმძღვანელო).

ბ-ნი ისიდორეს ქართული სამართლის ძეგლთა სრული კორპუსის დასტამბვის შემდეგ განზრახული ჰქონდა კვლავ მიბრუნებოდა იმ დოკუმენტთა გამოკვლევას, რომელთა ტექსტი კრიტიკულ დადგენასა და შემდგომ კვლევას მოითხოვდა. საამისო ნიმუშია 1981 წელს მკვლევრის მიერ მრავალწლიანი შრომის, ვახტანგ VI-ის სამართლის კრებული ხელახალი კრიტიკული გამოცემა, რომლისთვისაც მას გარდაცვალების შემდეგ (1983 წ.) ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. ნიგნში ამოწურავდაა გამოკვლეული ძეგლის ტექსტოლოგიური ბაზისი, კრებული წყაროები, შედგენილობა და სისტემა, მი-

თითებულია მისი მნიშვნელობა ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობისათვის. გამოკვლევის თანახმად, საკუთრივ ვახტანგის სამართლის ნიგნი, რომელიც შემაღენელი ნაწილია ვახტანგის კრებულისა და ქართული სამართლის ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, უნიკალურ ცნობებს გვანდის აგრეთვე გვიანფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წეს-წყობილებისა და სამეურნეო წყობილების შესახებ. ი. ღოღოძის აზრით, ვახტანგის სამართალი მოქმედ სამართალს წარმოადგენდა რუსეთის მმართველობის დამკვიდრებამდე როგორც ქართლის სამეფოში, ისე საქართველოს სხვა მხარეებში. ძეგლის განხილვას შედარებით-ისტორიულ ჭრილში მკვლევარი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ვახტანგის სამართლის ნიგნი უფრო პროგრესულია, ვიდრე მისი თანადროული საქრისტიანოს (რუსეთის, ევროპის) სჯულმდებლობანი. შ. დოლიძე ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულს მსოფლიო სამართლის ისტორიის პირველხარისხოვან ძეგლთა შორის აყენებს.

ი. ღოღოძემ სიცოცხლის ბოლო წელს გამოცა ნიგნი „ნიკო ხიზანაშვილი. რჩეული იურიდიული ნაშრომები“ (1982 წ.), რომელიც ქართული იურიდიული აზრის ისტორიის შესწავლას ეძღვნება. დანართში გამოქვეყნებულია ქაჯაჯავაძის ცნობილი თანამებრძოლის ბიოგრაფიის ამსახველი საარქივო საბუთები, მისი მკვლევარის პოლიტიკური მოტივების გამოკვლევის ცდა.

ი. ღოღოძე არაერთი მონოგრაფიისა და ათეულობით სამეცნიერო სტატიის ავტორია, რომლებშიც ქართული სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხებია განხილული. საგანგებო აღნიშვნის ღირსია „ძველი ქართული სამართალი“, რომელიც ი. ღოღოძემ 1953 წელს გამოაქვეყნა. ნიგნი ეძღვნება XIII-XIV საუკუნეების ჩვენამდე მოღწეული უმნიშვნელოვანესი ქართული საკანონმდებლო ძეგლის — „ბექა მანდატურთუხუცესის სამართლისა“ და „აბულა ათაბაგ ამირსპასალარის სამართლის“ — მეცნიერულ შესწავლას. ი. ღოღოძემ კრიტიკულად დაადგინა ტექსტი, პირველმა გაარკვია სამართლის ნიგნის შედგენილობის სისტემა და მისი წყაროები, ახალი მოსაზრებები გამოთქვა ქართული ფეოდალური სამართლის ძირითადი საკითხების, სახელდობრ, სანივთო სამართლის, სასჯელთა სახეების და სასამართლო გამოცდის (ღვთის მსჯავრის) შესახებ.

მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ი. ღოღოძე უთავსებდა აქტიურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობას. 1960 წელს ი. ღოღოძე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ის იყო საქართველოს პირველი აკადემიკოსი-იურისტი. 1960-1967 წლებში ბ-ნი ისიდორე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო. მისი მხარდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), შეიქმნა სამართლის სექტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან, მანვე სათავე დაუდო სერიულ გამოცემას „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, განახლა ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“. 1967 წლიდან ი. ღოღოძე ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სათავეში ედგა მის მიერ ჩამოყალიბებულ ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებას, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. რა თანამდებობაზეც არ უნდა ყოფილიყო ბ-ნი ისიდორე, მის მუდმივ საზრუნავს საქართველოს კულტურული წარსულის დაცვა, საზოგადო, „ქართული საქმის კეთება“ წარმოადგენდა, რისი მკაფიო მაგალითი მის მიერ განვლილი ცხოვრების გზაა.

სამართლოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

SIC!

„პანკისში ახალგაზრდების სირიაში გაყვანის ბრძანებას თარხან ბათირაშვილისგან იღებენ“

(მომრ ბჰვრდოქან) კერძოდ, დაკავებულნი არიან, მოხალისეების და ახალი მებრძოლების, მათ შორის იდეოლოგიურ-რელიგიური გადაბირებით. ასევე უზრუნველყოფენ მათ ფინანსურ დახმარებას, საბუთების მომზადებას და ტრანსპორტირებას თურქეთში. თურქეთში მებრძოლებს მუშაობს, რომლებსაც უკვე სირიაში გადაჰყავს ეს ჯგუფი, — აცხადებს ვახტანგ მაისია.

მისივე თქმით, რადიკალურ-ისლამისტურ ჯგუფთან მჭიდროდ თანამშრომლობს სპეცმსახურების გარკვეული ჯგუფი, რომლებიც გარკვეულ ფინანსურ სარგებელს იღებენ.

„ლაფანგურის სპეცოპერაციამ გამოაფინა ჯგუფი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა რადიკალურ-ისლამისტურ ჯგუფთან. როგორც ჩანს იმდროინდელი კადრები დღესაც არიან ძალაოვან სტუქ-

ტურებში, რომლებიც ისლამისტებთან თანამშრომლობენ. გავისხნოთ, როგორ მოხდა ლაფანგურის მებრძოლების ორგანიზებულად გადაყვანა საქართველო-თურქეთის საზღვარზე, იგივე ახმად ჩატაევის განთავისუფლება. ლაფანგურის სპეცოპერაციის გამოძიების შეჩერება და ა.შ. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია ისლამისტებთან“, — ამბობს მაისია.

რაც შეეხება ახმად ჩატაევს. როგორც მაისია აცხადებს, ჩატაევს, რომელიც ამჟამად სირიაში იმყოფება, დაევა არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ სამხრეთ კავკასიაში ისლამური ხალიფატის დაჯგუფებების შექმნა და აქტიურ ფაზაში გადასვლა.

„ჩატაევი დაინიშნა კავკასიური ჯიხადის ხელმძღვანელობად. გააკეთა კიდევაც ვიდეო-მიმართვა. მას დაევა არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ სამხრეთ კავკა-

სიაში ისლამური ხალიფატის დაჯგუფებების შექმნა და აქტიურ ფაზაში გადასვლა. ჩატაევი სირიიდან ახორციელებს თავის გეგმებს, რომლებსაც საქართველოში ჰყავს იდეოლოგიური მხარდაჭერები. მან ჩამოაყალიბა შენაერთი „იარბურკი“, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული კავკასიელი საველე მეთაურები, რომლებიც კავკასიური ჯიხადის პოლიტიკას ახორციელებენ“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ვახტანგ მაისია.

პოლიტოლოგი, ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი ამბობს, რომ პანკისის ხეობა შედარებით ნაკლებად კონტროლირებული ტერიტორიაა, რომელიც ესაზღვრება ჩეჩნეთს და შესაბამისად, ისლამური ვაჰაბიზმის გავლენა საკამოდ დიდია. მისივე თქმით, ამ მიმართულებით ადვილია აგიტაცია-პროპაგანდა და ზემოქმედება ახალგაზრდებზე და განსაკუთრებით სკო-

ლის მონაფეებზე, რომლებსაც შესაბამისი ცხოვრებისეული გამოცდილება არა აქვთ.

„აუცილებელია, გააქტიურდეს ქვეყნის საიდუმლო სამსახურები, რომელთა მოვალეობაა, ოპერატიულად აღკვეთონ ასეთი ქმედებები. ასევე საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა, რომელიც გარკვეულ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას დააკისრებს ასეთი აგიტაცია-პროპაგანდისთვის. რადგან, ეს პირდაპირ არის ტერორიზმის აგიტაცია-პროპაგანდა.“

სრულიად შესაძლებელია, რომ თვითონ რუსეთის სპეცსამსახურები იყენებენ ამაში ჩარეულს და ხელს უწყობდნენ ხეობიდან ახლგაზრდების გასვლას. სულაც არაა გამორიცხული, რომ რუსული სპეცსამსახურები უფრო აქტიურად მუშაობდნენ პანკისის ხეობაში, ვიდრე საქართველოს სპეცსამსახურები, რუსეთს აწვობს კიდევაც, ხელი შეუწყონ საქართველოს იმიჯის დაცვას და საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი დააპირისპიროს მეორე ნაწილთან, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას კახა გოგოლაშვილი.

თამაზ ძარჩავა

მკვანე უქანელი

პოლიტიკა ბინძური საქმეაო, — ამბობენ და სჯერა კიდევ ბევრს ეს ნათქვამი. არც გაემტყუნებათ, რადგან პოლიტიკაში, ძირითადად, მართლაც უზნეო და ხელმოცარული ადამიანები მიდიან და აბა, რასიკეთეს უნდა ველოდეთ უზნეო და უტყუარ მოლაშქრეებისაგან, ვინაიდან პოლიტიკოსებს ვუნდობთ დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ხედავს ამას ხალხი და სჯერა, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა.

პოლიტიკა თავისთავად როდია ბინძური საქმე. მისი სინძინდე იმაზეა დაბოლოებული, როგორი ხელეობით კეთდება იგი. ერთი და იმავე დასახელების კერძი შეიძლება სასარგებლო და სასიამოვნო იყოს და მანვე და უგემურიც, იმის მიხედვით, თუ მზარეული როგორია. ასეა პოლიტიკაშიც. კაცი თუ თავისი ქვეყნის ჭეშმარიტ ინტერესებს ემსახურება და მისი სამართლიანი მოთხოვნების აღსრულებას თავდადებით ცდილობს, ბინძური საქმის მკეთებელი კი არაა, ეროვნული გმირი და სახალხო ლიდერი გახდება უთუოდ, ხოლო ის, ვინც სხვათა ოქროთა მოსყიდული და სხვისი მიზნების განსახორციელებლად ირჯება საკუთარი ქვეყნის საზიანოდ, ბინძურიც არის და ყელთამდე ცოდვის მორევში ჩაძირულიც. ამაში საბოლოოდ და მყარად დაგვარმუნა ნაცბანდის (ანუ ნაციონალური მოძრაობის) ცხრანლიანმა ბოგინმა და დიდი და მცირე დაგვრანმა მისი უღლის გადასაგდებად. ბედად, წინამძღოლიც გამოგვიჩნდა და 2012 წლის პირველ ოქტომბერს ტრიუმფით ავედით გამარჯვებულის კვარცხლებზე...

ავდით ვითომ?
ერთი იმერელი აზნაურის ჩივილისა არ იყოს, რამდენი ცხენიც ვიყიდე, იმდენი კუანა გამომადგაო, ისეა ჩვენი საქმე. პირველად ავირჩიეთ უზენაესი საბჭო, ანუ პარლამენტი და ჩვენმა არჩეულმა დეპუტატებმა გულზე ხელის ბრავუნისა და „ჯოს-ჯოს“ ძახილის გარდა არაფერი იცოდნენ. ამიტომ იყო, ყოფილმა თუ იმდროინდელმა ქურდებმა და ჯიბიგირებმა ისე დაიმხეს ქვეყანა თავზე, რომ იმ უბედურებს ისევ მიტინგზე ეგონათ თავი. მეორედ ავირჩიეთ ხელისუფლება იმდროინდელი „მსოფლიო პოლიტიკოსის“ მეთაურობით და ჩვენს მიერ არჩეულ „პოლიტიკოსებს“ თავიანთი გამოხეული ნიფხვების დაკერების გარდა არაფერი ახსოვდათ (დაიკერეს კიდევ!). მესამედ ავირჩიეთ და... ჩვენ რომ ჩვენები გვევლინა, „ეროვნულობის“ ტყავში გამოხეული მამალი, „ანტიეროვნულები“ აღმოჩნდნენ და თავიანთი უცხოელი ძიების დახმარებით ჩვენი ამოძირკვა მოინდომეს ჩვენსავე სამკვიდროდან. მერე ის იყო, რაც უკვე ვთქვი: ჩვენი ძირფსვიანად ამომგდებლების ჯავრით აღვსილებმა, ახლადმოვლენილი „ბელადის“ დაძახილზე ერთხმად ვიხუცვლეთ (რაც სულაც არ გვახსიათებს ქართველებს!), ნაციონალების, ანუ ანტინაციონალების ხელისუფლება დავამხეთ და ქვეყნის ხელმძღვანელობა ვანდეთ პოლიტიკოსებს, რომლებიც... „ქვეშაფსიები“ გამოდგნენ.

როდის ნახეთ ჩასველებულებიო, — იკითხავს, ალბათ, ვინმე. როდის და როგორც კი თავთავიანთი სავარძლებში მოკალათდნენ და ქვეყნის მართვა სცადეს, მას უკან სულ ჩასველებულები არიან. რატომ, ნეტავი? საშარდე ბუშტის პრობლემა აქვთ, თუ... არა, არა! შიშით იფსამენ, აი, ისე, კურდღლებს რომ ემართებათ მულტფილში „ჩხიკვთა ქორნილი“.

შიში უბედურებაა, მით უფრო — ცხოველური შიში. ცხოველური შიში რომელია და, აი, ის, რაიმე ხმაურს რომ გაიგონებს ცხოველი და გარბის ისე, რომ არ იცის, იმ ხმის გამომცემი საშიშია, თუ არა მისთვის. მაგალითად, ლომი რომ ბრდღვინეთი გამოეხატება სავანაში, ცხოველები კისრიტხით გარბიან, მათ შორის ჟირაფებიც. არა და, ჟირაფს წინა ფეხის ჩარტყმით შეუძლია „ცხოველთა მფე“ სიცოცხლეს გამოასალმოს, მაგრამ რად გინდა, რა! გარბის ის უბედური და მდევრის ლუკმა ხდება...

ვინ იფიქრებდა 2012 წლის პირველ ოქტომბერს, რომ სამშობლოს მტრებისა და აშკარა შარაგვის ყაჩაღების დასჯა გაუჭირდებოდათ ჩვენს რჩეულ „განიდებს“, მაგრამ ერთი შეუბღვირეს თუ არა

დამარცხებულების ოკეანისგალმელმა ძიებმა, ამათ მაშინვე ჩაისველეს შარვლებში (კაბებშიც!).

კარგი რეჟისორები კი ყოფილან ის ორები, უნდა ვაღიაროთ ეს! მთელი ერი არ გაგვაბითურეს?

პირველსავე დღეებში გამოჩნდა თუ საით მივდიოდით, მაგრამ მაშინ ვერ მივხვდით ამას (ანდა რომც მიხვდებოდით ყავით. რაღას ვიზამდით, ნეტავი?)

ისე კი არ მოვექცევით დამარცხებულ ნაცებს, როგორსაც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენ გვეკადრებაო, — ბრძანა „ბელადმა“. არ ვიცი, თვითონ მოიფიქრა ეს გენიალურად დემაგოგიური ფრაზა, თუ იმათ უკარნახეს, რომლებმაც ერთი წლით ბელადად დაგვინიშნეს იგი არჩევნების წინა კვირაში. ერთი კი ცხადია, იმდენად მოგვხიბლა და გაგვაბრუნა ფრაზის ბოლოს ნათქვამმა — „როგორც ჩვენ გვეკადრებაო“, რომ ამაყად თავა-

5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს „მაგისტრალური მილსადენების (ჩავთობის, ჩავთობის პროდუქტების, ჩავთობის თანხდები და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზომების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; ბ) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით. გ) ლიცენზიის მფლობელმა შესაძლოა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეტეორული ან ესოტეკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. იდუმალას მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „მდ. მტკვრის“ კვიპა-ხრემის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 134 100 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. იდუმალას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	17 981 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1798,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხშობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	8 991 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 17 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 18 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 18 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 18 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

რუს წარმომადგენელი, რუს ანგარიშსწორების ცენტრი

წარმომადგენელი ნაფირობა: საქართველოს უარს ეუბნებიან ამერიკისა და ევროკავშირის მხარდებულებას

ინტერვიუ გასული კვირის მინისტრთან საქართველოს მხარეზე

2012 წელს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ახალმა ხელმძღვანელობამ განაცხადა „სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყების შესახებ“. საქართველოს პროკურატურამ აღძრა მთელი რიგი საქმეები ყოფილი მაღალი რანგის ჩინოვნიკების წინააღმდეგ, მათ შორის ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. შედეგად დააპატიმრეს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის ექსპრეზიდენტი ბაჩო ახალაია და თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა. ყველა მათგანს წაუყენეს ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში ან ბოროტად გამოყენებაში, სახსრების გაფლანგვასა და მითვისებაში.



ვანო მერაბიშვილს უკვე გამოუტანეს 3 განაჩენი — 2011 წლის 26 მაისს თბილისში ანტისამთავრობო აქციის დარბევასთან დაკავშირებით (4 წლისა და 6 თვის პატიმრობა), 2006 წელს „საქართველოს გაერთიანებული ბანკის“ თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში თანამშრომლობის (3 წლის პატიმრობა) და ფიქტიური სამუშაო ადგილების შექმნის გამო (5 წლის ციხე). ამას გარდა სასამართლო მერაბიშვილთან დაკავშირებით განიხილავს კიდევ 2 საქმეს: 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ქონების უკანონოდ მითვისების, აგრეთვე 2005 წელს დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის გამო.

თავდაცვის უწყების ყოფილი ხელმძღვანელი ბაჩო ახალაია გაამართლეს 4 ცალკეული საქმის გამო, რომლებიც შეეხებოდა სპეციალური დანიშნულების პირთა დაზარალებისადმი არაადამიანური მოპყრობის ორგანიზაციაში, წამების, თავისუფლების უკანონო ჩამორთმევისა და საზღვარგარეთის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში. სასამართლომ იგი დამოკიდებულებაში პატიმრობისადმი არაპატივსიური დამოკიდებულების, 2006 წლის ციხის ბუნტის საქმესთან და შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ყოფილი თანამშრომლებისათვის განსაკუთრებით პრივილეგირებული პირობების შექმნის გამო, რომლებიც გაასამართლეს სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით. სასამართლომ ახალაიას მიუსჯა 7 წლისა და 6 თვის პატიმრობა.

თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა, რომელსაც ბრალი ედება გაფლანგვასა და უფლებამოსილებათა გადაჭარბებაში, 2014 წლის 4 ივნისიდან იმყოფება წინასწარ პატიმრობაში. 14 მარტს, ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ამოინურებოდა წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა (9 თვე), პროკურატურამ მის წინააღმდეგ წამოაყენა ახალი ბრალდებები რაც ახანგრძლივებს წინასწარ პატიმრობაში მის ყოფნას კიდევ 9 თვით. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება პროკურატურის მოქმედებების გამო, რომლებიც, როგორც ეს განცხადებაშია ნათქვამი, „შკაგვს მცდელობას — გვერდი ავუაროთ წინასწარი პატიმრობის ცხრათვიან ლიმიტს“.

უარი მხარდებულებაზე

თბილისის მოთხოვნები ყველა იმ თანამდებობის პირთა ექსტრადიციის შესახებ, რომლებმაც მოასწრეს სააკაშვილის პარტიის არჩევნებში დამარცხების შემდეგ ქვეყნის დატოვება, უშედეგო აღმოჩნდა.

როგორც საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 14 აპრილს განაცხადა, ინტერპოლმა შეაჩერა საქართველოს ყოფილი იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადუიშვილის ძებნა წლინახვერის შემდეგ, მას აქვთ რაც მისი სახელი შეიტანეს ორგანიზაციის წითელ ცირკულარში.

ადუიშვილის წინააღმდეგ საერთაშორისო ძებნის გაუქმების ძირითადი მიზეზი, პროკურატურის თანახმად იყო ის, რომ მან ადრე მიიღო ლტოლვილის სტატუსი იმ ქვეყანაში, რომელიც მითითებული არ იყო ინტერპოლის გენერალური სამდივნოდან მიღებულ ცნობაში. როგორც საქართველოს პროკურატურა აცხადებს, ინტერპოლმა ეს გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს მხარისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, და ამით თბილისს არ ჰქონდა შესაძლებლობა, „წარედგინა დამატებითი არგუმენტაცია ანდა შესაბამისი დოკუმენტაცია“.

ადუიშვილს, რომელმაც საქართველო დატოვა 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, პატიმრობის არაადამიანური და დამამიჯნობელი დამოკიდებულების ორგანიზაციაში, სისხლის სამართლის სარჩელების ფალსიფიკაციაში და დანაშაულის ჩადენის პროვოცირებაში. 2013 წლის იანვარში თბილისის საქალაქო სასამართლომ ადუიშვილის მიმართ დაუსწრებლად აირჩია წინასწარი პატიმრობა.

წლის დასაწყისში ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ადუიშვილი იმყოფება კიევში და არაფორმალურად უწევს კონსულტაციას უკრაინის მინისტრთა კაბინეტს. ამან საქართველოს მმართველი კოალიციის, მათ შორის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილის მხრიდან, მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია.

ზურაბ ადუიშვილის გარდა საქართველოს პროკურატურამ ასევე ვერ შეძლო, უზრუნველყო საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიცია სამშობლოში, რომელიც ასევე იმყოფება კიევში და უკავია უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. მოთხოვნაზე სააკაშვილის ექსტრადიციის შესახებ კიევმა უარყოფითად უპასუხა და ეს ახსნა იმით, რომ ექსპრეზიდენტის შეიქმნა სდევნიდენ „პოლიტიკური მოტივებით“. შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილზე საქართველოში გამოცხადებული ძებნა უფლებამოსილებათა გადაჭარბებისა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ბრალდებით.


ასევე 2014 წლის ოქტომბერში საბერძნეთის სასამართლომ უარი განაცხადა, მოახდინოს ინტერპოლის დაკავებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო უსაფრთხოების ყოფილი უფროსის დავით ახალაიას ექსტრადიცია. დავითი — ბაჩო ახალაიას ძმაა. 2014 წელს საფრანგეთის სასამართლომ უარი განაცხადა დააკმაყოფილოს საქართველოს მოთხოვნა თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კუზნეცაშვილის ექსტრადიციის შესახებ, ვინაიდან მოთხოვნა ექსპრეზიდენტის გადაცემის შესახებ მიიჩნია „პოლიტიკურად მოტივირებულად“.

კაპაქია თბილისში

საპაქსილის პარტიის ოპონენტები არაერთგზის აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას „უარობაში“ დაასაბუთოს ექსპრეზიდენტისადმი წაყენებული ბრალდებები, აგრეთვე იმისთვის, რომ პროკურატურის „არაპროფესიონალიზმი“ წმინდად წარმოშობდა შეკითხვებს საქართველოს დასავლელ პარტიზანებს შორის სააკაშვილის თანამებრძოლების დევნის პოლიტიკური მოტივებულობის გამო. მმართველი კოალიციისაგან შარშან გამოყოფილმა პარტიამ „თავისუფალი დემოკრატები“ 15 აპრილს გააკეთა განცხადება საქართველოს პროკურატურის რეფორმის აუცილებლობის შესახებ, რომელსაც მათი შეფასების თანახმად, „არა აქვს უნარი სათანადოდ აწარმოოს სამართლებრივი პროცესები“.

ინტერპოლის უარმა — გააგრძელოს ზურაბ ადუიშვილის ძებნა — გამოიწვია შეკითხვები დეპუტატებს შორისაც მმართველი კოალიციიდან, რომლებიც არ გამოირცხავენ, რომ ისევე, აუცილებლობის შემთხვევაში, მოიწვევენ პარლამენტში ქვეყნის მთავარ პროკურორს საქმის დეტალების დასაზუსტებლად.

ამავე დროს სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სახეზეა „სამართლიანობის შეიქმნა“, რაც, როგორც ისინი საუბრობენ, ადასტურებს მათ მტკიცებას იმის შესახებ, რომ მათ თანაპარტიელებს სდევნიან პოლიტიკური მოტივებით.



დედაქალაქის ზურგზე



ნაბოს ყოფილმა გენერალმა გენერალმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ინტერვიუში განაცხადა, რომ თანამედროვე რუსეთი წარმოადგენს უფრო მეტ საფრთხეს, ვიდრე როდისმე ეს სსრ კავშირს გაუკეთებია. მისი სიტყვებით, რუსეთის ფედერაციის სულ უფრო და უფრო განუჭვრეტელი მოქმედებანი მიზნად ისახავს ქვეყნების დესტაბილიზაციას შიგნიდან, და ამჟამად რუსეთის ფედერაცია აჩაღებს „პიბრიდულ ომს“ ევროპის ტერიტორიაზე.

ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ინტერვიუში განაცხადა, რომ თანამედროვე რუსეთი წარმოადგენს უფრო მეტ საფრთხეს, ვიდრე როდისმე ეს სსრ კავშირს გაუკეთებია. მისი სიტყვებით, რუსეთის ფედერაციის სულ უფრო და უფრო განუჭვრეტელი მოქმედებანი მიზნად ისახავს ქვეყნების დესტაბილიზაციას შიგნიდან, და ამჟამად რუსეთის ფედერაცია აჩაღებს „პიბრიდულ ომს“ ევროპის ტერიტორიაზე.

ლონდონში რუსეთთან 24 უმანებარე ბაქრაში ნავილა



კოლონა დაიდრა მოსკოვის დროით დაახლოებით დილის 4 საათზე დონეცკის სამხრეთული ცენტრიდან. 120-ზე მეტ ავტომობილს დონბასში მიაქვს 1,4 ათას ტონაზე მეტი პუმანიტარული ტვირთი — ესენია კვების პროდუქტები, სამშენებლო მასალები, აგრეთვე სასწავლო ლიტერატურა სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის.

აშშ-ის შეიარაღებული ძალების საკლავო რუსეთის ფედერაციის ჯარების აქტიურობა სივრცის-დროულად მანევრებს შეიარაღებულ

კონგრესში გამოსვლის დროს ამერიკელმა ადმირალმა სემუელ ლოკლირმა აღნიშნა რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების გაზრდილი აქტიურობა და გამოთქვა შეშფოთება იმ დაფინანსების შემცირებასთან დაკავშირებით, რომელიც ობამას ადმინისტრაციამ შესთავაზა. „უკანასკნელი თვეების განმავლობაში რუსეთის მოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ დაუბრუნდა ცივი ომის დონეს“, — ხაზგასმით აღნიშნა ადმირალმა.

პროკურატურამ მიიღო რეფორმის სომხეთში

ევროპარლამენტის რეზოლუციამ სომხეთში გენოციდის შესახებ შეიქმნა გამოიწვია ურთიერთობათა გაუმჯობესება ანკარასა და ბრიუსელს შორის, განაცხადებს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ანკარა „სერიოზულად არ აღიქვამს მათ ვინც რეზოლუციას მიიღო“. სომხეთში მიმდინარე ევროპარლამენტის რეზოლუციას, განაცხადა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ ნალბანდიანმა.



ტურიზმი

საქართველოს ტურისტულ ჯგუფებს სანქტ-პეტერბურგში 72 საათის განმავლობაში უპირობო უფლება ექვსათ

სანქტ-პეტერბურგის ტურიზმის განვითარების კომიტეტი ტურიზმის მე-17 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში პირველად მიიღებს მონაწილეობას. სანქტ-პეტერბურგის ტურიზმის განვითარების კომიტეტის მონაწილეების ერთ-ერთი საკვანძო მიზანია - საქართველოსა და სანქტ-პეტერბურგს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის განვითარება.



ბიუჯეტური ავიარების ხარისხის შემდეგ ტურისტებს შეუძლიათ ბორნით, რომელიც ყოველდღიურად გადის სანქტ-პეტერბურგის მიმართულებით, იმოგზაურონ ფინეთის ყურის მიმართულებით და სამი დღე-ღამე ვიზიტორს სანქტ-პეტერბურგში, ამასთან, თავიდან აიცილონ ვიზების გაფორმების პროცედურა. სანქტ-პეტერბურგის ტურიზმის განვითარების კომიტეტი გამოფენის მონაწილეებსა და სტუმრებს სთავაზობს ენ ვიონ სტენდს №125, სადაც ტურბიზნის პროფესიონალებს და ტურიზმის სფეროში წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს ელოდება პრეზენტაციის სანქტ-პეტერბურგის ტურისტული პოტენციალის შესახებ.

უცხოეთის განხორბა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2015 წლის 4 აპრილის ნომერში (№63) გამოქვეყნებულ განცხადებაში დაშვებულია შეცდომა. შპს „ამტ-98“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე ნაფთობბაზის მშენებლობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა და საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, იუმა შევის ქ. №13 (ნაცვლად შეცდომით გაცხადებული მისამართისა - ქ. თბილისი, იუმა შევის ქ. №3). შპს „ამტ-98“-ის აღმინისტრაცი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დ ა ღ გ ე ნ ი ლ ე ბ ა არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ



საქმე №01-15/2015

ქ. თბილისი

16 აპრილი, 2015 წელი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე მამუკა ღვინიაშვილი

მოსარჩელე: ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

მოპასუხეები: შპს „მგგს საქართველო“, მარია კოხია, ხვიჩა მაქაცარიას, ივანე მესხი, რევაზ მესხი, შპს „მულტი სალარო“, ნინო მესხი, ჰასან ქაბადაი, შპს „დომუს დეველოპმენტი“, შპს „ფინენტი“

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ნივთების რეალიზაცია

გ ა მ მ ვ ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წარმომავალი საქმე №01-15/2015 ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ სარჩელის გამო შპს „მგგს საქართველო“, მარია კოხიას, ხვიჩა მაქაცარიას, ივანე მესხის, რევაზ მესხის, შპს „მულტი სალარო“, ნინო მესხის, ჰასან ქაბადაის, შპს „დომუს დეველოპმენტი“ და შპს „ფინენტი“ მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ნივთების რეალიზაციის შესახებ.

78-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივად გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისთვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებულად ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს“.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით არბიტრაჟს მიაჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს ხვიჩა მაქაცარიას და მარია კოხიას, სარჩელში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ვერ ჩაბარდა და ამასთან არბიტრაჟისათვის მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ უცნობია, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ხვიჩა მაქაცარიამ, არბიტრაჟის მიერ განხორციელებული ჩაბარების კიდევ ერთი მცდელობის მიუხედავად, უარი განაცხადა ჩაბარებაზე, მათ სარჩელის თაობაზე უნდა ეცნობოდ საჯარო შეტყობინებით.

ვიხელმძღვანელებ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლებით და

დ ა ვ ა ღ გ ი ნ ე ა :

1. მოპასუხეებს ხვიჩა მაქაცარიას და მარია კოხიას საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წარმომავალი საქმე №01-15/2015 ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ სარჩელის გამო შპს „მგგს საქართველო“, მარია კოხიას, ხვიჩა მაქაცარიას, ივანე მესხის, რევაზ მესხის, შპს „მულტი სალარო“, ნინო მესხის, ჰასან ქაბადაის, შპს „დომუს დეველოპმენტი“

და შპს „ფინენტი“ მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ნივთების რეალიზაციის შესახებ.

სარჩელის მოთხოვნა:

მოპასუხეებს შპს „მგგს საქართველო“, მარია კოხიას, ხვიჩა მაქაცარიას, ივანე მესხის, რევაზ მესხის და შპს „მულტი სალარო“ სოლიდარულად დაეკისროთ 1 235 449,37 აშშ დოლარის ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ სასარგებლოდ.

დადგინდეს იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული უძრავი და მოძრავი ნივთების რეალიზაცია იძულებით აუქციონზე.

იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფაში არსებული ნივთების რეალიზაციის შედეგად ბანკის მოთხოვნა სრულად არ დაკმაყოფილდება, იძულებითი აღსრულება მიექცეს შპს „მგგს საქართველო“, მარია კოხიას, ხვიჩა მაქაცარიას, ივანე მესხის, რევაზ მესხის და შპს „მულტი სალარო“ საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 26-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეებს ხვიჩა მაქაცარიას და მარია კოხიას უფლება აქვთ 7 დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

- ა) მხარეთა სახელწოდებები;
ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);
გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებითაც საიძულებო დადასტურდეს შესაგებელში ან შეგებებულ საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;
დ) შესაგებელზე ან შეგებებულ სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა.

2. მოპასუხეებს ხვიჩა მაქაცარიას და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

3. მოპასუხეებს ხვიჩა მაქაცარიას და მარია კოხიას ეცნობოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი 2015 წლის 1 მაისს, 15.00 საათზე იბარებს საარბიტრაჟო სხდომაზე მოპასუხის სახით, საქმეზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ სარჩელის გამო შპს „მგგს საქართველო“, მარია კოხიას, ხვიჩა მაქაცარიას, ივანე მესხის, რევაზ მესხის, შპს „მულტი სალარო“, ნინო მესხის, ჰასან ქაბადაის, შპს „დომუს დეველოპმენტი“ და შპს „ფინენტი“ მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ნივთების რეალიზაციის შესახებ, მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. 3.

მათ ასევე განმარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხოლო საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მე-16 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

4. დადგინდება გამოქვეყნდეს გაზეთში.

არბიტრი მამუკა ღვინიაშვილი

გაგიდის ჩოგბურთი

კპარტიტს — ფულადი პრიზებიც



დედბაძლებს 52 საჯარო სკოლის გუნდები მონაწილეობდნენ მაგიდის ჩოგბურთელთა თბილისის დია ჩემპიონატში (მთავარი მსაჯვი - რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი სუსანა გვილაგა), რომელიც 84-ე საჯარო სკოლისა და პირველი კლასიკური გიმნაზიის სპორტულ დარბაზებში საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის თანადგომით გაიმართა.

სასკოლო ცხოვრებაში საზოგადოების მეტი ჩართვის მიზნით, ტურნირში, მოსწავლეების გარდა, მშობლები, სკოლების წარმომადგენლები, გამოცდილი და

წარმატებული სპორტსმენებიც ასპარეზობდნენ. შესარჩევ ტურებსა და ჯგუფებში ჩატარებული პაექრობების შემდეგ გამოვლინდა ის ოთხი გუნდი, რომლებმაც საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილეს: I სსიპ თბილისის 90-ე, II სსიპ თბილისის 161-ე, III 84-ე საჯარო და IV. თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა. ოთხივე გუნდს 100-100 ლარი სკოლის ბიბლიოთეკისთვის ნივთების შესაძენად, ხოლო სპორტული ინვენტარისთვის, შესაბამისად, 1000-600-400 და 200 ლარი გადაეცა.

შეჯიბრების საზეიმო გახსნა-დასურვას ესწრებოდნენ ძალისხმობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მანუჩარ კვიციანი, ნეალბურთში სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზორი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, შსს მთავარი სამმართველოს არასრულწლოვანთა განყოფილების უფროსი მიხეილ გიორგაძე, თბილისის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გია მელაძე. გამარჯვებულები კახი კახიაშვილმა სპეციალური პრიზითაც დააჯილდოვა.

ლევან ცინცაძე სურათში: გამარჯვებულები და პრიზორები ორგანიზატორებთან ერთად.

ყინულის ჰოკეი

მოგებასაც გაუსინჯავს გემო

კაითილი ადამიანების თანადგომით საქართველოში ყინულის ჰოკეი თანდათან ძალას იკრებს. 2014-2015 წლების ეროვნულ ჩემპიონატში შარშან ოთხი გუნდი ჩაება: ბაკურიანის „მიმინო“, თბილისის „ცენტროვანი ჯვაროსნები“, „რუსი მგლები“ და „ყინულის რაინდები“. ათი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „მიმინო“ - 29 (60:19), „ყინულის რაინდები“ - 16 (33:37), „რუსი მგლები“ - 9 (18:34), „ცენტროვანი ჯვაროსნები“ - 6 (18:39) ქულა. პირველობის დამთავრებამდე ჯერ კიდევ 8 ტურია დარჩენილი.

ლონის ერთადერთ საგზურს ეცოლებოდნენ ერთმანეთს. შარშანდელ ჩემპიონატში ჩვენმა გუნდმა ყველა მატჩი წააგო, თანაც დიდი ანგარიშებით, ხოლო წლეულს სიტუაცია შეიცვალა. საქმე ის არის, რომ სამიოდე თვის წინათ ყინულის ჰოკეის საქართველოს ფედერაციამ ნატურალიზებულ მოთამაშეებს - ვიტალი დუმბაძეს, დიმიტრი სმეტანიძესა და ანდრეი ილიენკოს, რომლებიც სანკტ-პეტერბურგელები არიან, საქართველოს სახელით გამოსვლის უფლება დართო, რადგან ისინი ორი წელიწადია,



როგორც გაუწყეთ, ქართველმა ჰოკეისტებმა ამ დღეებში მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 დივიზიონის პირველობაში მოსინჯეს ძალები. ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა (მეკარები - კახა ამბროლაძე და ანდრეი ილიენკო, მცველები - ჯაბა ჩალათაშვილი, მიხეილ დავითაშვილი (კაპიტანი), გიორგი გობეჯიშვილი, ნიკა ლომიძე, ანდრო შენგელია, დავით მინასიანი, გიორგი ჯეირანაშვილი, გიორგი ჯანგობეგვიშვილი, ზაზა ლონღაძე, თავდამსხმელები - ვიტალი დუმბაძე, ამირან გეგერძე, გოჩა ჯეირანაშვილი, გენადი კოსიცივი, დავით ოგანეზიანი, გიგა ოგანეზიანი, დიმიტრი სმეტანიძე, რევაზ ცომიაი და ალექსანდრ ცუკანოვი) უკრაინელი სპეციალისტის - ევგენი ალიპოვის ხელმძღვანელობით თურქულ იზმირში ექვსიდან ორი შეხვედრა მოიგეს, ოთხი დათმეს და საბოლოოდ 5 ქულით მე-5 ადგილი დაიკავეს. შეჯიბრებაში 7 ქვეყნის წარმომადგენლები (თურქეთი, საქართველო, ჩრდილოეთი კორეა, ჰონკონგი, ლუქსემბურგი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბოსნია-ჰერცეგოვინა) მე-2 შემ-

ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობენ. ჯვაროსანთა ლაშქრობა იზმირში ასე დამთავრდა: I ტური. ლუქსემბურგი-საქართველო 15:3 (3:2, 3:1, 9:0). გოლები: დუმბაძე (2), სმეტანიძე. II ტური. საქართველო-ჩრდილოეთი კორეა 4:12 (2:3, 1:5, 1:4). დუმბაძე, სმეტანიძე (2), გეგერძე. III ტური. თურქეთი-საქართველო 3:1 (3:0, 0:0, 4:1). სმეტანიძე. IV ტური. საქართველო-ჰონკონგი 3:11 (1:3, 1:4, 1:4). დუმბაძე, სმეტანიძე (2). V ტური. საქართველო-ბოსნია 4:1 (1:1, 0:0, 3:0). სმეტანიძე, დუმბაძე, ცომიაი (2). VI ტური. საამიროები-საქართველო 4:5 (1:2, 1:0, 2:2, 0:0, 0:1). დუმბაძე (4), სმეტანიძე. მეორე ეშელონის საგზური ჩრდილოეთმა კორეამ მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში თურქეთს მოუგო - 4:3 (2:1, 0:0, 1:2, 1:0). ბოლო ადგილზე გასული ბოსნიელები გაისად მსოფლიოს ჩემპიონატში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაეხვედნენ.

ლავა დიდა

კალათბურთი

იბალია: ორჯერ საქართველო და სხვაბი

იტალიის კალათბურთის ფედერაციამ 2015 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ციკლი შეიმუშავა და დადასტურა, რომ ერთადერთი გუნდი, რომელმაც „სკუადრა აძურა“ ორ სპარინგ-მატჩს ჩაატარებს, საქართველოს ეროვნული ნაკრებია. იტალიელები ევროპასკეტისთვის მზადებას 21 ივლისიდან დაიწყებენ, თვის ბოლოს კი პირველი ოთხთა ტურნირი ელით. ფოლგარიაში დაგეგმილ ტრენინგის თასზე მათი მეტოქეები მომავალ პირველობაზე ქართველთა ერთ-ერთი მონაწილე მსოფლიო ლანდია (30 ივლისი), ავსტრია (31 ივლისი) და გერმანია (1 აგვისტო) იქნებიან. აღნიშნულის შემდეგ გუნდი ტრიესტეში გადაინაცვლებს და თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის მოემზადება. იტალიის კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდის ცნობით, თბილისური შეჯიბრის ვადები კიდევ დასაზუსტებელია, წინასწარი განრიგით კი, იტალიის ნაკრები 14 აგვისტოს ისრაელს ეთამაშება, 15-ში - ლატვიას, 16-ში კი - მასპინძელ საქართველოს. სამშობლოში დაბრუნების კვალად, იტალიელი კალათბურთელები ტრიესტედან 22 კილომეტრში მდებარე სლოვენური ქალაქ კოპერს მიაშურებენ და 21, 22 და 23 აგვისტოს უკრაინას, ფინეთს და ჩემპიონატზე ქართველთა კიდევ ერთ მეტოქე სლოვენას გაეჯიბრებიან. 28 აგვისტოსთვის იტალიელები ისევ ტრიესტეში იქნებიან და საქართველოს ნაკრებს მეორეჯერ ეთამაშებიან, 29-ში მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდთან მატჩია, 30-ში კი - რუსეთთან შეხვედრა.



შეგახსენებთ, რომ 2015 წლის ევროპის პირველობაზე „სკუადრა აძურა“ ურთულეს B ჯგუფში მოხვდა და მასპინძელი გერმანიის გარდა, ბერლინურ ეტაპზე მეტოქეებად ესპანეთი, სერბეთი, თურქეთი და ტურნირის დებიუტანტი ისლანდია ეყოლებოდა. იტალიელთათვის კარგი სიახლე ისაა, რომ საზაფხულო ეროვნულ გუნდში თამაშის სურვილი დაადასტურეს „დენვერ ნაგისის“ და „ბოსტონ სელტიკის“ ფორვარდებმა დანილო გალინარიმ და ლუიჯი დიტომემ. ჯერჯერობით, გაურკვეველია „სანანტონიოს“ ლეგიონერ მარკო ბელინელის ბედი, რომელიც მიმდინარე სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი ხდება და ახალი კონტრაქტის ძიებაში იქნება.

ვიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

როსა უკლური ხარ

ჩემპიონთა ლიგის ოთხშაბათის რაუნდი დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ ტრავმების ეპიდემიამ და დისკვალიფიკაციათა სიმრავლემ მოსალოდნელი სანახაობები გვარიანად გააფერმკრთალა და თავდაყირა დააყენა პროგნოზები. მართლაც, როგორ მოუბრუნდება კაცს ენა „პარი სენ-ჟერმენისა“ და მისი თავკაცის ლორან ბლანის

გასაკრიტიკებლად, რომელსაც იბრაჰიმოვიჩის, ვერატისა და ტიაგოს არყოფნამ უდიდესი საკადრო პრობლემები შეუქმნა, ხოლო გამაყუჩებელი მოთამაშე გუნდის კაპიტანი სილვა ასევე ჯერაც განუკურნებელი მისივე თანამემამულე ლუიზით შესაცვლელი შეიქნა? სხვათა შორის, ლოგიკურიცაა, ეს უკანასკნელი რომ გახდა „ბარ-



სელონასთან“ 1:3 ნაგებული ბრძოლის ანტიგმირი, რადგან სუარესმა შესვენების შემდეგ ორჯერ სწორედ ბრაზილიელს გაუძვრინა ბურთი ფეხებს შორის და ისე შეასრულა „დუბლი“. არანაკლებ, თუ მეტად არა, დაზარალა გადატვირთულმა ლაზარეტმა გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ერთი-ერთი „ბაიერი“, რომელიც „პორტუს“ რობენის, რიბერის, შვანშტაიგერისა და ალაბას გარეშე ეწვია. დაუმატეთ ამას ხაბი ალონსოს, დანტესა და ბოატენგის ბავშვური შეცდომები და პასუხსაც მიიღებთ კითხვაზე, როგორ გამოცხვან ხმაურიანი სენსაცია - 3:1 (კვარუშმა - 2, როდრიგესი; ალკანტარა). ბავარიულ გიგანტს ერთი კვირა რჩება დირსეული რევანშის ასაღებად, მაგრამ უნდა ვალიაოთ, რომ ასეთმა შედეგმა საგონებლოდ შეამცირა კეპ გვარდიოლას ანსამბლის თბილისში სუპერთასზე სათამაშოდ ჩამოსვლის შანსები (11 აგვისტო).

გიორგი შოთაძე

ჩოგბურთი

რაფა ნადალი - ახალი ჩოგნი მონტის წინააღმდეგ



მონტი კარლუს „მასტერს 1000“-ის რვაგზის ტრიუმფატორმა რაფა ნადალმა წლეგანდელი შეჯიბრება ფრანგი ლუკა პუიას დამაჯერებელი დამარცხებით (6:2, 6:1) დაიწყო. მალიორკელის შემდეგი მონაწილეა ამერიკელი ჯონ იზნერია. „ფრანგის წინააღმდეგ მთელი მატჩის განმავლობაში სტაბილურად ვთამაშობდი და შეცდომა პრაქტიკულად არ დამიშვია. თამამად შემძლია განაცხადო, რომ წლეულს საუკეთესო მატჩი ჩავაბრუნებ. იზნერთან მომავალ დაპირისპირებას რაც შეეხება, ჯონის სახიფათო მეტოქეა, ნებისმიერი საფარის კორტზე მეტად ძლიერად პაექრობს, მე კი შევეცდები ამჯერადაც კარგად ვიასპარეზო“, - აცხადებს რაფა. ამასობაში რაფამ ჩოგანი შეიცვალა. ჟურნალისტების აზრით, ახალი ჩოგნის წყალობით ნადალის მონაწილეობა კიდევ უფრო მძლავრი და სწრაფი გახდა.

კობა კობახიძე

კულტურის სიხალისე

თბილისის მოდის კვირეული იწყება

საბარტემელო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში თბილისის მოდის კვირეულის (16-19 აპრილი) რიგით მე-11 სეზონის გახსნასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა.

საქართველოს ყველაზე მოდურ ღონისძიებას „ივერია ჯგუფი“ უმასპინძლებს. ვარდების მოედანზე განლაგებული სალონისძიებო სივრცე გააერთიანებს დიზაინერების შოუ-რუმს და გრანდიოზულ 28-მეტრიან პოდიუმს, რომლის ირგვლივ 400-ზე მეტი სტუმარი განთავსდება.

კვირეულზე წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა ხელოვანი ნიკა სახანბერიძე. ვარდების მოედანზე განთავსდება დიდი კონტინერი, რომელშიც მისი ნამუშევრების ექსპოზიცია გაიმართება; მოდის სახლი „მატერია“ დიზაინერ ალექსანდრე ახალკაციშვილის 2015 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციას აჩვენებს. ამის შემდეგ პოდიუმს ლელა ელოშვილი დაიკავებს. ბრენდი „ელოში“ თბილისის მოდის კვირეულის პოდიუმზე უკვე მეორედ წარდგება.

ჩვენებების პარალელურად იგივე შენობაში განთავსდება დიდი „შოუ-რუმი“, რომელიც კიდევ უფრო მეტ დიზაინერს მისცემს შესაძლებლობას, წარმოაჩინოს სეზონური კოლექციები, ასევე აქსესუარები და ფეხსაცმელი. შოუ-რუმის კარი ღია იქნება ყველასთვის ყოველდღე 12 საათიდან.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელშეწყობით თბილისის მოდის კვირეულს ძალზედ მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცემების წარმომადგენლები დაესწრებიან და გააშუქებენ.

მოდის კვირეულის ფარგლებში მენარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით თბილისის რამდენიმე მსხვილი კომპანიის T. O. Buyer-ი (მყიდველი) ესტუმრება. ასევე, საფეიქრო ინდუსტრიის წარმომადგენელი განთავსდება სტენდი, სადაც ადგილობრივი საფეიქრო ქარხნები წარმოადგენენ საკუთარ პროდუქციას. აქვე აღსანიშნავია, რომ საფეიქრო ინდუსტრიის განვითარება „წარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ ტურიზმის მე-17 საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა

საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ ტურიზმის მე-17 საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, უკვე მესამედ, ტრადიციული ქართული ხალხური რენვის გამოფენა-გაიშვება, სადაც წარმოდგენილია ქართული რენვის 20-მდე ხელოსანი და დაახლოებით 10 სახელოსნოს მიერ შესრულებული ნამუშევარი. აღნიშნული გამოფენა ხელს უწყობს ტრადიციული ქართული რენვის უძველესი დარგების: მეთუნეობა, ქედურობა, ტექსტილი – პოპულარიზაციასა და განვითარებას.

გამოფენაზე უძველესი ტრადიციული სახეობების კვლადკვალ, ინტერაქტიული ქართული სტილისტიკითა და ძველი ტექნოლოგიით შესრულებული ქართული ტრადიციული ხელოვნების თანამედროვე ნიმუშებიც იქნება წარმოდგენილი. ოსტატები რენვის ნიმუშებს დამთვალიერებელთა თვალწინ დაამზადებენ.

ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტი „ცოცხალი წიგნები“ იწყება

საბარტემელო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დაიწყო უპრეცედენტო ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტი – „ცოცხალი წიგნები“.

პროექტი „ცოცხალი წიგნები“ გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სოფლებისა და ქალაქების საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, კულტურის სახლებისა და სხვა საჯარო სკოლებში დასახლებულ მოსახლეობას წიგნების წაკითხვის შესაძლებლობის შექმნას.

ინფორმაცია

2014 წელს საქართველოს 15 მოთხოვნიდან ინტერპოლმა 13 დააკავა

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ინფორმაციით, 2011 წელს ინტერპოლმა საქართველოს დაუკმაყოფილა 28-დან 20 მოთხოვნა, ხოლო 2014 წელს 15-დან - 13 მოთხოვნა. ამის შესახებ თეა წულუკიანმა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ გავრცელებული ინფორმაციის კომენტარებისას განუცხადა, რომელიც 2010-2015 წლებში ინტერპოლით ძებნის გამოცხადებასა და ექსტრადირებაზე პროკურატურის სტატისტიკას მოიცავს.



„საუბარია იმაზე, რომ ექსტრადირების პროცედურას მიაქვს ძალიან დიდი დრო, რა მონაცემებიც მე მაქვს ნაწახი, 2011 წელს ინტერპოლმა საქართველოს დაუკმაყოფილა 28-დან 20, ხოლო 2014 წელს 15-დან - 13. ამიტომ მე რაიმე საგანგაშოს ამ ციფრებში ვერ ვხედავ და მხოლოდ ციფრები არ იძლევა სურათის ანალიზის საშუალებას“, - განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, რაც შეეხება მიმდინარე 2014-2015 წლების სამუშაოს, ამის შედეგები გამოჩნდება და ციფრებში აისახება არა წელს, არამედ გაიხსნა, რადგან „დღეს დაწყებული პროცედურები, შედეგები მოიტანს მხოლოდ მოგვიანებით“.

2010-2015 წლებში საქართველოს პროკურატურამ ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს ცირკულარით საერთაშორისო ძებნის გამოცხადების თხოვნით სულ 131 განცხადებით მიმართა, რომელთაგან 121 დაკმაყოფილდა.

მიკროავტობუსის ფარულ სამალავში ორი პირი იპოვეს

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა საზღვრის უკანონო კვეთის მცდელობისა და საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანის ბრალდებით სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში სამი პირი დააკავეს.

დაკავებულთა შორის ორი საქართველოს, ხოლო ერთი უზბეკეთის მოქალაქეა. გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულ გიორგი ც-ს თავის მფლობელობაში არსებული ფორდ-ტრანზიტის მარკის მიკროავტობუსის საშუალებით მოწოდებული ჰქონდა სპეციალური სამალავი, რომლის საშუალებითაც მოქალაქეების საზღვარზე უკანონო გადამსვლელთა მიერ დაგეგმილი იქნებოდა. დაკავებულთა შორის ერთი უზბეკი და ერთი ქართველი მოქალაქეა. დაკავებულთა შორის ერთი უზბეკი და ერთი ქართველი მოქალაქეა.

დაკავებულთა შორის ორი საქართველოს, ხოლო ერთი უზბეკეთის მოქალაქეა. გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულ გიორგი ც-ს თავის მფლობელობაში არსებული ფორდ-ტრანზიტის მარკის მიკროავტობუსის საშუალებით მოწოდებული ჰქონდა სპეციალური სამალავი, რომლის საშუალებითაც მოქალაქეების საზღვარზე უკანონო გადამსვლელთა მიერ დაგეგმილი იქნებოდა. დაკავებულთა შორის ერთი უზბეკი და ერთი ქართველი მოქალაქეა.

პროექტში აქტიურად იქნება ჩართული საგამომცემლო სექტორიც. მიუხედავად ლოკალური წიგნის ბაზრობების - მწერლები თავად მოგვევლინებიან გამავრცელებლის როლში. თავიანთ საავტორო წიგნებთან ერთად, ისინი წარადგენენ და პოპულარიზაციას გაუწევენ კოლექციების შემოქმედებასაც.

X საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამალეობამდე“

საბარტემელო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 16 აპრილიდან 21 მაისამდე გაიმართება რიგით მეათე საერთაშორისო ფესტივალი - „აღდგომიდან ამალეობამდე“.

ამ თემასთან დაკავშირებით, 15 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა.

ფესტივალი „აღდგომიდან ამალეობამდე“ 16 აპრილს, უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი სოპრანოს - ნინო მაჩაიძის კონცერტით გაიხსნა. კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა „საქართველოს სოლიდარობის ფონდში“ ონკოლოგიური სენის მქონე ბავშვების დასახმარებლად.

თბილისში საფესტივალო კონცერტები ჩატარდება კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში, ასევე რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში. საფესტივალო საღამოები თბილისის გარდა, გაიმართება ჩოხატაურში, ბაღდათში, ხარაგაულსა და ბათუმში.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია აშშ-ში მოღვაწე, ცნობილი ქართველი პიანისტი და პედაგოგი ალექსანდრე კორსანტი.

კავკასიის მუსიკალური დაჯილდოება „ფენიქსი“

საბარტემელო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, „ივენთ პოლში“ კავკასიის მუსიკალური დაჯილდოება - „ფენიქსის“ საზეიმო ცერემონია გაიმართა.

დაჯილდოება ყოველწლიურად 6 ნომინაციაში (საუკეთესო სიმღერა, საუკეთესო ვიდეო, დებიუტი, წლის არტისტი/ჯგუფი, განვითარებისთვის, ფენიქსის გმირი) საუკეთესო არტისტებსა და ჯგუფებს ავლენს.

კავკასიის მუსიკალური დაჯილდოება - „ფენიქსი“ უკვე მე-4 წელია ტარდება. „ფენიქსი“ 1995 წლის კავკასიის როკ ფესტივალებიდან იღებს სათავეს.

ძველი და ახალი თუშეთი

საბარტემელო ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ლილი მურთაზაშვილის პერსონალური გამოფენა: „ძველი და ახალი თუშეთი“.

აქ გამოიფინა თუშური ფარდაგათა ნაირსახეობა, ასევე თუშური ყოფისა და წეს-ჩვეულებებისათვის დამახასიათებელი ნივთები: სადღვებელი, თუჯის ქვაბები, თუნგები, ხონჩები, ღვინის ჭურჭელი, მწვემლის ალჭურვილობა და სხვა.

გამოფენა ეძღვნება ცხინვალში დაღუპული საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის ხსოვნას. გამოფენა 21 აპრილამდე გაგრძელდება.

თეა მისია



მეუღლე ცირა სახურია, შვილები მამუკა, გიორგი, რძლები მარიკა, მარი, ევა, ძმა ალექსანდრე, შვილიშვილები სალომე, მარიამი, ივანე, ძმისწულეები ვაჟა, თინათინ, თამარ კოტორაშვილები, ცოლისდა ნელი სახურია ოჯახით ღრმა მწუნარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ილიას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

დავით კოტორაშვილი პანაშვიდი 17, 18 IV, 17 სთ. დაკრძალვა 19 IV, 14 სთ. მიწასამართი: წყნეთის ქ. კორპუსი 14, IV სადარბაზო, V სართული, ბინა 100.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები მწუნარებით იუნყებიან, რომ ცნობილ სპორტულ ფოტოჟურნალისტს, ჩვენს კოლეგასა და მეგობარს ალექსანდრე კოტორაშვილს გარდაეცვალა ძმა, თაობათა აღმზრდელი ნათამეცნიერი

დავით კოტორაშვილი და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

პრიზინალი

დააკავეს სორბლის იმპორტიორები

საბარტემელო ფინანსთა სამინისტროს საგამომცემლო სამსახურმა სორბლის იმპორტიორები გამოავლინა, რომელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ოდენობით ზიანი მიადგა.

საგამომცემლო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე დაკავებულია 3 მოქალაქე - ბესიკ ჯიქია, მამუკა ჯანყარაშვილი და ლევან მანჯავიძე.

გამომცემლო დეპარტამენტი, რომ ბრალდებულებმა დააფუძნეს რამდენიმე იურიდიული პირი, რომელთა საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციიდან სორბლის იმპორტი.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ბოროტად იყენებდნენ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ საშეღავათო პერიოდს და არ ასორციელებდნენ იმპორტისა და დამატებითი ღირებულების გადასახადების გადახდას, ასევე მათ მიერვე დაფუძნებულ იურიდიულ პირებს შორის, ასორციელებდნენ ფიქტიურ სამყურნეო-საფინანსო ოპერაციებს. საერთო ჯამში, ბრალდებულების მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა 1 739 164 ლარის ზიანი.

რეკლამა 29 3-37-87; 568 82-09-84.

© ჩვენი კარავალინი

შუა ასაკის მამაკაცები, რომლებსაც აქვთ ზედმეტი წონა და დიდი ხანია თავის თავზე ხელი ჩაიქნიეს, ეწვეიან რისკს, გახდნენ შაქრის დიაბეტის მსხვერპლი გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე იმავე ასაკისა და კომპლექციის ქალები. რატომ? შევეცადოთ, გავგვრკვეთ ამაში.

იმაოტანცია, რომელიც სიმსივნის მსგავსად იწვევს უკანასკნელ ხანებში რაღაც ზარმაცობას სამედიცინო ვალდებულებათა შესრულებაში და დაიწყო ჩივილი მუდმივ დაღლილობაზე, იმის ნაცვლად, რომ წავიდეს თეატრში ანდა ფეხბურთზეც კი, ის სულ უფრო ხშირად ისვენებს დივანზე, დროა, რომ დაიწყო შემფოთება. პოტენციის დარღვევა, აგრეთვე ამოუხსნელი დაღლილობა და აპათია ხომ ხშირად II ტიპის შაქრის დიაბეტის პირველი აზრია. ლი-

დაავადება და თირკმლების მძიმე დაზიანება, მეხსიერებისა და ინტელექტის დაქვეითება, დიაბეტური კომა და გარდაცვალება, ბოლოს და ბოლოს. დაარწმუნეთ ქმარი - აიღოს სისხლი თითოდაც გლუკოზისადმი ტოლერანტობაზე და გამოარკვიოს, თუ როგორ მუშაობს მისი კუჭქვეშა ჯირკვავი, რამდენად კარგად გამოყოფს იგი ორგანიზმისთვის აუცილებელ საჭირო ხარისხის ინსულინის რაოდენობას.

სხვათა შორის ბავრცელებში აზრი, რომ შაქრის დიაბეტი, უწინარეს ყოვლისა, ტკბილეულის მოყვარულებს ემუქრება. სინამდვილეში - ეს მითია. ტკბილეულის ზედმეტ მიღებას დიაბეტთან არ მიყვავართ. მაგრამ შეიძლება მიგვიყვანოს სიმსუქნესთან, ეს კი - უკვე დიაბეტის განვითარების რისკია. ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, თუ, კერძოდ, რას ჭამს ბევრს ადამიანი - ღვეზელს და ფუნთუშას თუ ძეხვსა და პაშტეტს, შედეგი შეიძლება ერთნაირი იყოს.

პროფილაქტიკისთვის საშუალო და უფროსი ასაკის ყველა ადამიანმა უნდა შეამციროს საკვებში ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლებისა და ცხიმების ოდენობა. სასარგებლოა ვჭა-მით მეტი ბოსტნეული და არც-თუ ტკბილი ხილი. და, რასაკვირველია, არ ღირს მოწევა.

უქნარების ბედისწერა

შაქრის დიაბეტი პასიური მამაკაცების სვედრია

ბილოს დაქვეითებისა და სექსში წარუმატებლობის მიზეზი - ეს მცირე მენჯის ორგანოებში სისხლის შემოსვლის შემცირება და ტესტოსტერონის - მამაკაცის მთავარი სასქესო ჰორმონის - დონის დაქვეითებაა.



და კიდევ უფრო უარესი, თუ ყოველივე ამასთან ერთად თქვენი ქმრის წელის მოცულობა განუზრვლად იზრდება, თმების ოდენობა კი მის თავზე დაუნდობლად მცირდება. ხომ ცნობილია, რომ მამაკაცებში წონის უმნიშვნელო მომატებაც კი - ესაა ამბავი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დიაბეტისა და სხვა საშიში დაავადებების განვითარება: ქალებისგან განსხვავებით, ძლიერ სქესს უვითარდება ვისცერული სიმსუქნე (ე.ი. ეწყება ცხიმის დაგროვება მუცლის არეში), რაც შინაგან ორგანოებზე ზეწოლას იწვევს.

თანაც დიაბეტის დროს იწყება მეტაბოლური ციკლების დარღვევა, რომელთა რიგში თმების ზრდის ციკლიც შედის.

ზვიმოწე თავი

- II ტიპის შაქრის დიაბეტის სხვა სიმპტომებია:
● მუდმივი წყურვილი, სიმშრალე პირში, დაღლეული სისხლის მოცულობის ზრდა.
● ხშირი შარდვა (მათ შორის, ღამით), ქავილი საზარდულში.
● მხედველობის გაუარესება.
● წნევის ხტუნვა.
● დიდი ხნის განმავლობაში შეუხორცებელი ჭრილობები.
თუმცა, ხშირად დაავადება მიმდინარეობს სიმპტომების გარეშე და ვლინდება შემთხვევით.

ტიპი მოძინელობაზე

ოჯახურ პირობებში შეიძლება შევასრულოთ ტესტი მოქნილობაზე, რომლის შედეგების მიხედვითაც შეიძლება ვისაუბროთ დიაბეტის არსებობაზე.
● სთხოვეთ მეუღლეს დადგეს იატაკზე და შეეცადოს ამოძრაოს ფეხის ცერები. თუ ყოველ თითს შეუძლია აინიოს იატაკიდან 50-60 გრადუსით - კარგია, ხოლო თუ თითები ახერხებენ მხოლოდ ოდნავ აინიონ იატაკიდან, მაშასადამე - მეტაბოლიზმი დარღვეულია.
● თქვენმა ქმარმა ხელის ტერფები მიადოს ერთმანეთს. თუ თითები მთელ სიგრძეზე ემთხვევა ერთმანეთს - კარგია. დიაბეტიკებთან ერთმანეთს უერთდებიან მხოლოდ თითების ბალიშები, ვინაიდან მათი მყესები შემოკლებულია.
მაგრამ, რასაკვირველია, ასეთ ტესტებს დიაგნოსტიკური მნიშვნელობით ვერ შეადრი შაქარზე სისხლის გამოკვლევას.

© დანიჯასტი

სპორტის კალა

მომარბითი აქტიურობით შეიძლება მივალწით სხეულისა და ტვინის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, გენეტიკისა და გარემოებების გავლენის მიუხედავად, დადასტურეს ფინციონება.
მათ აიყვანეს ერთკვერცხუჯრედიანი 10 ტყუპი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელთა ცხოვრების წესმაც დაიწყო ერთმანეთისგან განსხვავება მას შემდეგ, რაც დატოვეს მშობელთა სახლი. ყოველ წყვილში ერთ-ერთი ტყუპისცალი რეგულარულად მისდევდა სპორტს, მეორე - არა. ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრისათვის მათ შეუცვალეს გამძლეობა, სხეულის კომპოზიციური შემადგენლობა და ინსულინისადმი მიდრეკილება, აგრეთვე განახორციელეს ტვინის სკანირება.
ალმოწინაა, რომ ნაკლებადმოძრავ ტყუპებს ჰქონდათ ნაკლები გამძლეობა, ცხიმოვანი დანალექების უფრო მაღალი პროცენტი და ინსულინის ალუქმელობის ნიშნები, რაც ნივთიერებათა ცვლის პრობლემების შესახებ მოწმობდა. აქტიურ ტყუპისცალებს ჰქონდათ გაცილებით მეტი რუხი ნივთიერება ტვინში, ვიდრე მათს ნაკლებადმოძრავ ძმებს, განსაკუთრებით იმ უბნებში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მოძრაობის მართვასა და კოორდინაციაზე. და ყველა ეს სხვაობა მოხდა მათში სულ რაღაც 3 წელიწადში.

სხვის კანში

როდესაც ვუყურებთ სიცივისაგან აკანკალებულ ადამიანს, ჩვენც გვრძობთ თავს გაყინულად, ამტიციებენ ბრიტანელი მეცნიერები.
მოხალისეები მათს გამოკვლევაში უყურებდნენ ვიდვოს, თუ ადამიანები როგორ ყოფდნენ ხელებს ცივ წყალში, ამ დროს სხეულის ტემპერატურა მცირდებოდა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამგვარი შეუცნობელი ფიზიოლოგიური ცვლილებები საშუალებას გვაძლევს თანავუგრძნოთ ერთმანეთს. „ადამიანები სოციალური არსებები არიან, და ჩვენი წარმატების დიდი ნაწილი დამოკიდებულია უნარზე - ვითანამშრომლოთ რთულ საზოგადოებაში. ჩვენ რომ არ შეგვეძლოს ერთმანეთის თანაგრძნობა, სხვა ადამიანების აზრებისა და გრძნობების ამოცნობა, თანაარსებობა დიდად გაგვიჭირდებოდა“, - ამბობენ მეცნიერები.

კარკოები ჩამორჩებიან

ძალეში, რომლებიც მშობიარობენ სახელმწიფო საავადმყოფოებში, უფრო ხშირად არიან კმაყოფილები მომხდარი მშობიარობით, ვიდრე ისინი, ვინც ინდივიდუალურ თანამშრომლობას ირჩევენ კერძო კლინიკებში, აჩვენა ავსტრალიელი მეცნიერების გამოკვლევაში.
ისინი, ვინც მშობიარობდა საბიუჯეტო დაწესებულებებში, გარემოცული იყვნენ დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით, ვიდრე კერძო დაწესებულებების კლიენტები. ამ უკანასკნელებს ექიმები მშობიარობის შემდეგ ურეკავდნენ 6-ჯერ უფრო იშვიათად, მათთან 34-ჯერ უფრო იშვიათად მიდიოდნენ გინეკოლოგები სახლში. საბიუჯეტო დაწესებულებების პაციენტები 2-ჯერ უფრო ხშირად არიან კმაყოფილი იმით, თუ როგორ ჩაიარა მათმა მშობიარობამ. ამ დროს ქალების კმაყოფილების ხარისხი არ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი დრო გაატარეს მათ სტაციონარში.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87; 568 82-09-84..

© ცინცხალი ანაკლოტავი

მსაბმბრი კუკური განთქმული იყო თავისი ვერაგობით: დაუფინყარი სექსის დაპირებით იგი ქალიშვილებს თავის სახელოსნოში იტყუებდა და მერე მათ ხატავდა.

ბორბალი ოპტიმისტის მოგონილია, პესიმისტის კი - სათადარიგო ბორბალი.

ჩვენი ქვეყნის პრობლემა ის კი არ არის, რომ ღარიბების გამოკვება არ შეუძლია, არამედ ის, რომ მდიდრები ვერაფრით ვერ გაძლენ.

მათსმბრამ მდინარეზე თევზაობისას ოქროს თევზი დაიჭირა.

იცი რა ვქნათ, შე მათხოვარო, გამიშვი და ერთ ნებისმიერ სურვილს შეგისრულებ, - ეუბნება თევზი.
- იმდენი ფული მინდა, რამდენიც სახლში დამეტივა.
- პრობლემა არ არის!



მათხოვარი თევზს უშვებს, თავქუდმოგლეჯილი გარბის სახლში, სადაც იატაკზე ნ ლარი აგდია. აღუფოთებული მათხოვარი უკან მდინარეზე ჩადის და გამწარებული უყვირის ოქროს თევზს:

- ეგ როგორ მომატყუე, შე არამზადავ, ნ ლარი მომიგდე - დამცინი თუ რას შვრები?
- ვერ გავიგე, ბატონო მათხოვარო... რა, ეს თანხა სახლში არ დაგეტია თუ რაშია საქმე?

ქმირფზსო, მითხარი რამე თბილი და ალერსიანი - ეხვეწება ცოლი ქმარს.
- ჩემი ბაჭიავ!
- არა, მარტო „ბაჭია“ ცოტაა!
- მაშინ 10 ათასი ბაჭია, შენი დედაც...

ძმბრი ეკითხება ცოლს:
- ჩემი პიჯაკი განწინდე?
- დიას, გავწმინდე.
- შარვალიც?
- კი ბატონო!
- ფეხსაცმელიც?
- რა არის, კაცო, იქაც გაქვს ჯიბები?

© კადრი



ავტორთა საჭურავლოვო!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)
uac(უაკ)070.4(479.22)
ISSN 2233-3851
მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87; 599 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მამუკიძე 54 33-33-24